



ეროვნული  
მუზეუმი



# მეფის კურონო

4  
1987


საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება



თბილისი  
ზიგლიძის ქუჩა

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS



კუს გამოსახულებიანი ოქროს უელსაბაში, ვანი, ძვ. წ. V ს.

Золотое ожерелье с подвесками в виде черепашек. Вани. V в. до н. э.

# ქეკელი ქეკელიძე

4 (1987)

ქართული საზოგადოებრივი მეცნიერება

გაგონის 1984 წლიდან

სააუდაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მკ მდივანი), პარმენ ჯაფარიძე, გარიაშ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლეკან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი არბაქიძე, თენგიზ ფარაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი  
რედაქტორი — ოთარ ლორთქიფანიძე  
Редактор серии — ИРАКЛИЙ ЦИЦИШВИЛИ  
Редактор — ОТАР ЛОРДКИПАНИДЗЕ

გაგონის საზოგადოებრივი საფუძისებზე



თამარ ნემსაძე — აგარა (ვიზილ-დერესი). სარესტავრაციო სამუშაოები	5
ანდროს ავაქიძე, ვახტანგ ნიქოლაიშვილი — მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ახალშენებლობებზე	16
ალექსი ბრეზინაძე — ძალიის ნაქალაქარს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე, აფსიდებიანი ნაგებობა და საკურთხე აუზი	25
ალექსანდრე რაჭიშვილი — არქეოლოგიური კვლევა-ძიება „ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში, 1984—1985 წლებში	31
ოთარ ლამბაშიძე, ირინე ლამბაშიძე — ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან	36
ნიქოლოზ თუშიშვილი, სოსო მარღიშვილი — ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა 1983—1985 წლებში	44
ბესარიონ მინისრაძე, მერაბ აბდუშელიშვილი — არქეოლოგიური გათხრები წითელწყაროს რაიონში	48
რევაზ პაპუაშვილი — არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კობლეთის დაბლობზე (1983—1986 წწ.)	51
ბესარიონ ჯორჯანიძე, მავკალე მარგველაშვილი, გიორგი რჩეულიშვილი — ეივანის ნაქალაქარი და სამაროვანი	54
ლილია წითლანაძე — გრემისხევის სამაროვანი (ფაქტი, რომელიც არ უნდა გამოვრდეს)	59
შოთა ირმაშვილი — ნიჩბისხევის არქეოლოგიური ძეგლები (შემოთხვევათი მონაპერები)	63
სოსო ნულელიძე — ავამადლო კულტურის ძეგლი დაცვის პირველადი ორგანიზაციების როლი	68
კულტურის ძეგლი შოამაძე (ალექსი რომაძემ 80 წლისა)	71
ველუცაე (ბებე ჯაშარიძე 60 წლისა)	72
ქრონიკა	70
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	74—79

СОДЕРЖАНИЕ

Т. Немсадзе — Агара (Вирил-Дереси) Реставрационные работы	5
А. Алакидзе, В. Николаишвили — На новостройках «Михета великой»	16
А. Бохчадзе — Новейшие открытия на территории городища Дзалиса	25
А. Рамнишвили — Археологические изыскания в зоне строительства «верхне-хашурской оросительной системы» в 1984—1985 гг.	31
О. Гамбашидзе, И. Гамбашидзе — Новые археологические материалы из Самцхе-Джаваheti	36
Н. Тушишвили, С. Маргишвили — Работа археологической экспедиции алгетского ущелья в 1983—1985 годах	44
В. Мансурадзе, М. Абдушелишвили — Археологические раскопки в Цителцкаровском районе	48
Р. Папуашвили — Археологические раскопки и разведки на колхидской низменности (1983—1986 гг.)	51
В. Джорбенадзе, М. Маргвелашивили, Г. Рчеулишвили-Жинвальское городище и могильник	54
Л. Цитланадзе — Гремисхевский могильник	59
Ш. Иремашвили — Археологические памятники Ницбисхлеви	63
С. Худелидзе — О работе первичной организации	68
Хроника	70
Алексею Робакидзе 80 лет	71
Гела Дзаваридзе 60 лет.	72
Аннотации на русском и английском языках	74—79

## აბარა (ჟიზილ-ღერასი)

### სარესტავრაციო სამუშაოები

ასპინძიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდ. ასპინძის წყლის ხეობაში, ნასოფლარ აგარის მახლობლად, მთის ფერდის შემალღებზე შემონახულია ლიტერატურაში „ყიზილ-ღერასის“ სახელით ცნობილი ეკლესია. ძეგლის თავდაპირველი სახელწოდება დაკარგულია. „ყიზილ-ღერასი“ — წითელ ხევს ნიშნავს და სათანადოდ ამ ხევში არსებულ ეკლესიასაც „ყიზილ-ღერასი“ უწოდეს. ძეგლის მოკლე აღწერა და სამხრეთის ფასადის ფოტო ჭერ კადეე 1909 წელს გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა.<sup>1</sup>

მიუხედავად ჩვენი დაინტერესებისა და მრავალჯერადი ცდისა, ძეგლის ნომებნა მხოლოდ 1972 წელს შეეძელით აღგილობრივი მცხოვრების, ბუნებისა და ძეგლების გულშემატკივარის არსენ გველესიანის დახმარებით, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ მას.

ძეგლის ზედაპარული დათვალიერებითაც აშკარა იყო მისი განსაკუთრებით ავარიული მდგომარეობა: ჩაქცეული დაგეხვდა კამარები და საბჯენი თაღები, ჩამოშლილი — პილასტრები და კედლების როგორც ქვედა რიგების ასევე ზედა ნაწილების წყობა. ძეგლის რ სარკმლიდან სრული სახით მხოლოდ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სარკმელი შერჩენილიყო. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ეყრდნობოდა ერთ ქვას, რომლის გამოცლის შემთხვევაში ნაგებობის ამ ნაწილს დაღუპვა ემუქრებოდა. აღარ იყო ადგილზე გამოქვეყნებულ ფოტოზე აღბეჭდილი ორთაღდიც თავისი სვეტით. დასავლეთის და ჩრდილოეთის მინაშენების არსებობა მიწის ქვეშ არცაი შეინიშნებოდა. ჩამოშლილ ქვასა და მიწას ისე აევსო სათავეები, რომ შიგნით შესვლა მხოლოდ დასავლეთის შესასვლელის ლუნეტიდან შეეძელით. ყოველივე ამის გამო სასწრაფოდ უნდა მიგველო ზომები ძეგლის გადასარჩენად. 1973 წელს ასპინძაში მოეწყო ექსპედიცია რუსუდან გვერდწითელის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრები იყვნენ არქიტექტორები თ. ნემსაძე და ლ. კალმახელიძე, ხელოვნებათმცოდნეები ი. ელიზბარაშვილი და მ. თუმანიშვილი. ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან შეთანხმებით ამ წელსვე ნაწილობრივად გაიწმინდა ძეგლი და ჩვენი მეთვალყურეობით გამაგრდა განსაკუთრებით ავარიული უბნები. პარალელურად ჩატარდა აზომებითი და კვლევითი სამუშაოები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო აღდგენის ესკიზურ პროექტს (ავტ. თ. ნემსაძე) და ძეგლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას (ავტ.-ბი მ. თუმანიშვილი და ი. ელიზბარაშვილი), სადაც არქიტექტურული ფორმებისა და დეკორის შედარებითი ანალიზით ძეგლი დათარიღებულია VIII-IX სს-ით.

ძეგლის ნაწილობრივმა გაწმენდამ უკვე იმდენი მასალა შეგვძინა, რომ გაჩნდა მისი სრული აღდგენის რეალური შესაძლებლობა, ხოლო შემდგომმა გაწმენდამ საშუალება მოგვცა ძეგლის კედლების დიდი ნაწილი და ფრაგ-



საქართველოს  
საქართველოს




სამსრეთის ფასადი 1972 წ.

Южный фасад 1972 г.

სამსრეთის ფასადი აღდგენის შემდეგ.

Южный фасад после реставрации.





სამხრეთის მინაშენის სარკმლის თავხართის ქვა.


Наверхние окна южной пристройки.

მენტები: სარკმლები, თალები — ძირითადად თავისივე ქვებით აღგვედგინა. ეკლესიის კედლები ორივე მხრიდან ამოყვანილია რუხი, ფოროვანი, უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვით. კუთხეები და სხვა კონსტრუქციული ნაწილები: პილასტრები, თალები, აფსიდები-კონქებით, სარკმლებისა და შესასვლელების მოჩარჩოება, კარნიზები — ღია ფერის სუფთა თლილი ქვით. თლილი წყობა დიდი ზომის ქვებითაა ნაწარმოები. რიგითი წყობის ქვები შედარებით მცირეა, შერჩეულია და მორგებული ერთმანეთთან. რიგების პორიზონტალობა ყველგან დაცულია. ქვებს შორის ნაკერები ბათქაშით ყოფილა შევსებული. დროთა განმავლობაში ატმოსფერული ნალექებისა და მზისგან ქვები დამწვარა და ქვლის კედლებს მოყავისფრო-ვარდისფერი დაჰკრავს. ინტერიერი შელესილი და მოხატული ყოფილა. აქა-იქ შერჩენილია შელესილობის ფრაგმენტები მოხატულობის კვალით.

ეკლესია დარბაზულია, გეგმაში ძალიან ღრმა, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდით. სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე თანადროული მინაშენი აკრავს. ჩრდილოეთის და დასავლეთის მინაშენები უფრო გვიანდელია, რაზეც მეტყველებს კედლების განსხვავებული წყობა (ნახმარია უფრო დიდი ზომის ქვები), ნაყერი აღმოსავლეთ ფასადზე და აგრეთვე დასავლეთის მინაშენის კამარის დასაყრდნობად მოწყობილი თაღედი ეკლესიის დასავლეთის კედელთან. მასზე გადაყვანილი კამარა ფარავდა დასავლეთი შესასვლელის ლუნეტის დეკორით შემკულ თავსართს.

სამხრეთის მინაშენი ორ დამოუკიდებელ ნაწილს შეიცავს: საღიაკენესა და სტოას. ორივე აღმოსავლეთით აფსიდებით სრულდება. საღიაკენე ეკლესიას უკავშირდება ერთადერთი, აფსიდთან გაჭრილი კარით. სტოა საღიაკენეზე ბევრად გრძელია და გარე სივრცისკენ ორთაღედით იყო გახსნილი. სტო-







გეგმა.

ქართლ. ხედი აღმოსავლეთით.

План.

Разрез. Вид на восток.






კრილი, ხედი სამხრეთით.

Разрез. Вид на юг.

სამხრეთის ფასადი.

Южный фасад.



ას ჩრდილოეთ კედელზე ორი დეკორატიული ნახევარწრიული თალია, რომლითაც გასქელებულია კედელი კამარისათვის. სტოადან ეკლესიაში შესასვლელი გაჭრილია აღმოსავლეთი თალის ქვეშ. იგი სწორკუთხა მოხაზულობისაა. მეორე შესასვლელი დასავლეთიდანაა — მძლავრი არქიტრავითა და კვერცხისებური მოხაზულობის ლუნეტით.



ეკლესიის გრძივი კედლები და ნახევარწრიული კამარა წყვილი პილასტრითა და საბჯენი თალით თითქმის თანაბრად იყოფა. აფსიდისა და პილასტრის საბჯენ თალებს აქვს მარტივი პროფილის იმპოსტები (პროფილი: თაბოთი დასრულებული თითქმის ვერტიკალური სიბრტყე). კუთხის პილასტრებია დასავლეთის კედელთანაც, რომელზეც საბჯენი თალი იმპოსტების გარეშე გადადიოდა, როგორც აფსიდის მხრები, ასევე შუა და დასავლეთის კუთხის პილას-




დასავლეთის შესასვლელი აღდგენამდე.

Западный вход до реставрации

დასავლეთის შესასვლელის ღუნეტი აღდგენის შემდეგ.

Люнет западного входа после реставрации



დასავლეთის სარკმელი აღდგენის  
შემდეგ.

Западное окно после восстанав-  
ления.



ტრები ერთსაფეხურიანია და 30-40 სმ-თაა წამოწეული კედლის სიბრტყე-  
დან. როგორც სტოასა და სადიაკვნეში შემორჩენილი გადახურვის ნაშთით ირ-  
კვევა, კამარები გადაყვანილი ყოფილა რადიალურად ჩალაგებული ბრტყელი  
ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.

ეკლესიის ინტერიერი უხვად ნათდებოდა ხუთი საკმაოდ განიერი სარკ-  
მლით. ამათგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სრული სახით მხოლოდ აღმოსავე-  
ლეთისა და ჩრდილოეთის სარკმლები შემოგვრჩა, აღმოსავლეთის სარკმელი  
შიგნიდან სწორკუთხა მოხაზულობისაა, გარეთვე ოდნავ ეიწროვდება და  
სრულდება ნახევარწრიული თალით (მისი სიგანე ფასადზე 34 სმ-ია). ჩრდი-  
ლოეთის სარკმელი შიგნიდანაც და გარედანაც სწორკუთხაა, პარალელურგვერ-  
დებია. იგი გაჭრილია კედლის დასავლეთ ბოლოში, საკმაოდ მაღლა. დასავე-  
ლეთის სარკმლიდან შერჩენილიყო მხოლოდ შიდაპირის საწყისი ორი ქვა. აღ-  
ვილზე დაგვხვდა სამხრეთის კედლის ორივე სარკმლის ძირიც (სრული სახით  
შემოგვრჩა შიგნიდან სადიაკვნეს სამხრეთის სარკმელიც).

მიუხედავად ადგილმდებარეობისა საკმაოდ თვალსმოფარებულ ხეობაში,  
ძეგლი უხვად ყოფილა დეკორით შემკული, რომლისაგან გარდა პროფილი-  
რებული და ბურთულეებით შემკული ლუნეტის თავსართის ნაშთის და სტოას  
შიდა ორთაღედისა, ადგილზეა აღმოსავლეთის სარკმელი. იგი დასრულებულია  
ერთ დიდ ქვაში ამოკვეთილი ნახევარწრივით და შეკულია საფეხურებად დანა-  
წევრებული პროფილის მქონე, გრძელი ჰორიზონტალური გადანაკეცებია  
წარბით.

სამხრეთის ფასადის დიდი ნაწილი დანგრეულიყო. მინაშენიდან მხოლოდ



აღმოსავლეთი ნაწილი შემოინახა და მასაც საპირე წყობა დიდი რაოდენობით აკლდა. მიწაზე ეყარა სადიაკვნეს სარკმლის კუთხით გათლილ ქვები და თავსართი — დამახასიათებელი და საინტერესო დეკორით. აქაც ნახევარწრიულ თაღს გარს უვლის წარბი გრძელი პორიზონტალური გადანაკეცებით. წარბის სიბრტყე ღარიტ ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაგან ზედა, უფრო განიერი, შემკულია წვრილი ღარიტ ამოკვეთილი წრეებით, ქვედა ზოლი კი შედგება ერთმანეთზე მიჯრით გამოთლილ მცირე ცილინდრებისაგან. გადანაკეცების ბოლოებზე ვერტიკალურად მიმართული ფრთებია ამოზრდილი.

დასავლეთის ფასადთან, მიწაზე ბარის პირველივე დარტყმით გამოვლინდა დასავლეთის სარკმლის სათაურის ქვა. მასზეც ორსაფეხურიანი რელიეფური წარბია. ზედა საფეხურზე ნალისებური თაღებია ამოკვეთილი. წარბის თაღს შუა წერტილში ებმის მედალიონი, რომელშიც ტოლმკლავა, ბოლოებგაგანიერებული (ბოლნური) ჯვარია ჩასმული. მის ორივე მხარეს, გლუვი სიბრტყიდან წინ წამოწეული ვარდულებია განთავსებული.

ეკლესიის კედლებზე კარნიზები არ შემოინახა. გაწმენდამ გამოავლინა განსხვავებული სიმაღლის (27 და 23 სმ) თაროს ტიპის კარნიზის ორი სახე. ორივეს პროფილი იდენტურია: თარო და მის ქვეშ ამოკვეთილი ღარშემოვლებული ნალისებური თაღები, თაღებს შორის არე ჩაღრმავებულია, შექმნილია სამკუთხა ფორმა, რომლის ჩრდილიც ხაზს უსვამს თაროს და სიმკვეთრეს მატებს თაღებს. 27 სმ-ის სიმაღლის კარნიზი დამატებით შემკულია თაღების შეერთების ქვედა სიბრტყეზე ამოკვეთილი ორ-ორი ბურთულით. აშკარაა, რომ უფრო მაღალი კარნიზი — ძეგლის მაღალი ნაწილის კედლებს ამთავრებდა, მეორე კი სამხრეთის მინაშენისა იყო.

მიწისაგან გაწმენდის შემდეგ გაიხსნა სტოას სამხრეთი ორთაღედის სვეტის კვადრატული ბაზა ოთხფურცელა კვეთის სვეტის ძირით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ სტოას იატაკთან შედარებით, ეკლესიის იატაკი ამაღლებულია ორი საფეხურით. ამაღლებულია როგორც სტოას, ასევე ეკლესიის აფსიდების იატაკებიც. ორივე აფსიდის კედელი მცირე ნაშევრიანი თაროთი სრულდება. ეკლესიის აფსიდის წინ, შუა ნაწილში, ნახევარწრიული ფორმით გათლილი ჭვის ორი საფეხურია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა შესანიშნავი, ძეგლის თანადროული ჯვრის ბაზა. მის ზედა ნაწილს თარო შემოუყვება. თაროს ძირი ნალისებური თაღებითაა შემკული. ბაზისა და თაროს წინა სიბრტყე ჯვრებით, ვარდულებით და კვადრატებში ჩასმული ფოთლოვანი გეომეტრიული ორნამენტითაა დაფარული. როგორც კვეთის, ასევე დეკორის მოტივი ესმარება ძეგლის დეკორის საერთო ხასიათს, რაც ადასტურებს მის თანადროულობას. როგორც აღვნიშნეთ, მიწის ზევით, კედლებზე პილასტრების არც ერთი ქვა აღარ დაგვხვდა. ორივე კედელს მთელ სიმაღლეზე 50 სმ სიგანის დუღაბის ზოლი მიჰყვებოდა თლილი ჭვის ანაბეჭდებით. მიწის გატანის შემდეგ ადგილზე აღმოჩნდა ორივე პილასტრის პირველი ქვები, ლილეითა და ვერტიკალური ხაზების მწკრივით შემკული ბაზებით. ჩრდილოეთი კედლის პილასტრის ნაშთი ორსაფეხუროვანია. ეს მიგვანიშნებს, რომ ხუროთმოძღვარს ან კედლის თაღები ჰქონდა ჩაფიქრებული ან ორსაფეხურიანი პილასტრები,



რომლებზედაც ასეთივე საბჯენი თალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინვე დაუფიქრებია, რადგან შესაბამისი მეორე საფეხური არც აფსიდის კედლებზე არც დასავლეთის კუთხეს და არც სამხრეთის პილასტრს არა აქვს. შერჩენილ კედლებზე იმპოსტების კვლიც არ აღინიშნება, ეს ძიების მომენტი დამატებით აზუსტებს ძეგლის აგების თარიღს და გარდამავალ ხანაზე — VIII-IX სს-ზე მიგვანიშნებს.

ძეგლის აღდგენის დეტალური პროექტი დამუშავდა გაწმენდით მოპირკეთებული მასალის ანალიზის და ანაზომის საფუძველზე.

გაწმენდისას გამოვლინდა 100-მდე თლილი ქვა. ყველა ქვა დაანომრა, აიზომა და დაფიქსირდა მათი ადგილმდებარეობა გეგმაზე. გარდა ადრე ნაპოვნი ქვებისა, აღმოჩნდა პილასტრების, საბჯენი თალების, კონქის, სარკმლების კუთხით გათლილი ქვები. თითქმის ყველა ქვას მოეძებნა ადგილი და მოთავსდა თავის ბუდეში. ეპოვეთ ეკლესიის სამხრეთი სარკმლის თავსართის ქვის ნატეხიც. ესეც ორსაფეხურიანი წარბი ყოფილა ნალისებური თალებით დამუშავებულ ქვედა ზოლით. მის მიხედვით გაითალა სამხრეთის ფსადის სარკმლების სათაურის ქვები პროფილის გამეორებით, თალების გარეშე. რასაკვირველია დიდი რაოდენობით დავგვირდა ახალი ქვაც, რომელიც დულაბზე აღბეჭდილი ბუდეების ზომების მიხედვით დამზადდა.

გაწმენდისას ამოვიღა დიდი ზომის კრამიტის ნამტვრევები, რამაც დაადასტურა რომ ძეგლი კრამიტით იყო დახურული.

კაპარების აღსადგენად შერჩენილი იყო ეკლესიის, სადიაკვნეს, სტოას კაპარის ქუსლის დონეები და აფსიდის იმპოსტები კონქის თალის პირველი

საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან  
რესტავრაციის შემდეგ.

Общий вид с юго-запада  
после реставрации.





ქვებით. ძეგლის სრული აღდგენისათვის ყველაზე მეტ დასაბუთებას მოითხოვდა მისი გადახურვის საკითხი: კარნიზების დონეები და ფრონტონების ხაზულობა. საკუთრივ ეკლესიის ფასადებისა და კრილების შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთ ფასადის შერჩენილ წყობაზე კიდევ ერთი რიგისა და კარნიზის დამატება სახურავის თითქმის ჰორიზონტალურ ხაზს მოგვეცემდა, რაც დაუშვებელია. ე. ი. ჩრდილოეთ ფასადზე შერჩენილი, უკანასკნელი რიგის ქვები უკვე კარნიზქვეშა დონეა. მას ადასტურებს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ფოტოც. რომელზეც აღბეჭდილია სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე სრული სახით, კარნიზის გარეშე.

ფრონტონების ქანობები განისაზღვრა განივი კრილებისა და ზემოთ დადგენილი გრძივი ფასადების კარნიზის დონეების შეჯერებით, რის შედეგადაც მივიღეთ ამ პერაოდისათვის დამახასიათებელი ქანობი 24-25°.

კიდევ უფრო ზუსტად დადგინდა დაბალი, სამხრეთი ნაწილის კარნიზის დონე და ფრონტონი. მისი დახრიაა 17-18°. აქ სახურავის ზედა ნიშნულს საზღვრავდა სამხრეთის კედელზე შემონახული გადახურვის ნაშთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე შეაფიოდ გამოვლენილი წყობის გარდატეხის დონე: იქ, სადაც ეკლესიის კედელს ებმის დაბალი ნაწილი, აღმოსავლეთ ფასადზე წყობა გადაბმულია და კუთხე აღარაა გამოყოფილი. მინაშენის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი იყო უკანასკნელი რიგის ერთი ქვა. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ერთი რიგისა და კარნიზის დამატება, ეკლესიის სამხრეთ კედელზე აღბეჭდილ კვალთან სახურავის ჰორიზონტალურ ხაზს იძლეოდა, რაც გამოორიკხულია. ამით დადასტურდა, რომ მინაშენის სამხრეთ კედლის ზედა ერთი ქვა უკვე კარნიზის ქვედა ნიშნულია.

სამუშებაროდ, გაწმენდისას ვერ მივაკვლიეთ სამხრეთის სტოას ორთაღედის ქვებს. მისი აღდგენა კი შესაძლებელიც იყო და აუცილებელიც, რადგან აღდგენის გარეშე სტოაზე სახურავი ვერ მოეწყობოდა და რაც მთავარია, იგი სამხრეთის ფასადის კომპოზიციის ძირითადი ელემენტია. ორთაღედის აღდგენა მოგვიხდა მთლიანად ახალი მასალით. ოთხეურო კვეთის სვეტი გავითალა ბაზაზე აღებული შაბლონით. მთელი კომპოზიციის სამუშაო ნახაზი კი დამუშავდა ფოტო მასალის გრაფიკული ანალიზის საფუძველზე.

ძეგლის ძირითად ბირთვზე აღდგენითი სამუშაოების პარალელურად იწმინდებოდა გვიანი მინაშენებიც: გაიხსნა დასავლეთის მინაშენის კედლის თალები, შესასვლელი. შიგნიდანაც და გარედანაც გაიწმინდა მიწით ამოვსებული ჩრდილოეთის მინაშენი, რომელიც ჩვენდა გასაოცრად სრულად იყო შენახული თავისი კარნიზით (სადა თარო) და გადახურვის კამარით. კარნიზი აკლდა მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებს. მინაშენი გეგმაში სწორკუთხაა, აფსიდის გარეშე. განათებულია ერთადერთი აღმოსავლეთის სარკმლით. დასავლეთის მინაშენი ჩრდილოეთისაკენ ნახევარწრიული თალითაა გახსნილი. თაღის დასაყრდნობად საგანგებოდაა ჩაკვეთილი ეკლესიის კედელი დასავლეთის კუთხესთან. ჩრდილოეთის მინაშენი გადახურულია მცოცავი კამარით, რომლის დასაყრდნობად ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მთელ სიგრძეზე ღარია ამოღებული.

მინაშენების კედლებზე გადაიწყო მორყეული ქვები. აღდგა კარნიზი



ფრონტონებზე ახალი ქვით. კონსერვაცია გაუკეთდა დასავლეთის მინაშენის კედელს. მისი აღდგენისაგან შეგნებულად შევიყავით თავი, რადგან მსხვერპლი თვალსაზრისით ძველი ბევრს არ კარგავდა, კამარის აღდგენით კარ და ფარებოდა დასავლეთის ფასადის კომპოზიციური გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ელემენტი — შესასვლელის დეკორით შემკული ლუნეტი.

მეტად საინტერესო და შედგვიანი იყო ძეგლზე როგორც გაწმენდითი, ასევე აღდგენითი სამუშაოები. დიდი პასუხისმგებლობით და გულისყურით ეკიდებოდა საქმეს სამუშაოთა მწარმოებელი შოთა ომიძე, რომელმაც მიუხედავად უგზოობისა და ძეგლის სირთულისა, დასახულ ამოცანას კარგად გაართვა თავი. ძეგლის აღდგენაზე მუშაობდნენ ქვისმთაღებლები გამოცდილი ოსტატის კირილე კურდოვის ხელმძღვანელობით.

დამთავრდა ძეგლის აღდგენა და მიძღები კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოები ფრიაღზე შეფასდა. მიუხედავად ამისა, მგონია რომ ძეგლს მხატვრული თვალსაზრისით რაღაც მნიშვნელოვანი დავაკელით: გაწმენდისას ვიპოვეთ სულ 10 კარნიზის ქვა. ამათგან ორი კუთხისა იყო — ბურთულებიანი და ბურთულების გარეშე. ბურთულებიანი მოერგო ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს, მეორე მინაშენის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე მოთავსდა. გამოვიყენეთ კარნიზის რიგითი ქვებიც. დანარჩენი აღდგა ახალი, იმავე სიმაღლის სადა ფილებით, სადაც გავიმეორეთ მხოლოდ ზოგადი დანაწევრება: ღარით გამოყოფილი თარო და წაკვეთილი წიბო ბურთულების გარეშე. ასევე, თაღების გარეშე, მხოლოდ პროფილის გამეორებით, აღდგა სამხრეთის სარკმლების სათაურებიც. ამით დავკარგეთ ის ეფექტი, რასაც მივიღებდით ყველაფერი არსებული დეტალების ანალოგიურად რომ აღგვედგინა, მითუმეტეს, რომ ძეგლზე მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი მუშაობდა.

ფაქიზი, ოსტატურად შესრულებული სარკმლებისა და კარნიზების დეკორი საოცრად კონტრასტულია უხეშად დამუშავებული, რუხი ფოროვანი ქვის კედლებთან, ამსუბუქებს მას და ქმნის განუმეორებელ მხატვრულ ეფექტს. ჩვენს მიერ მასებში აღდგენილი დეტალები კა რამდენადმე ამჩივებს და აუბრალოებს საერთო შთაბეჭდილებას. ამიტომ, ძეგლზე აღდგენითი სამუშაოების დამთავრებიდან წლების გავლის შემდეგ, მგონია, რომ ძეგლთა დაცვაში კანონად მიღებული და დამკვიდრებული მეთოდი, რომელიც კრძალავს დეკორის გამეორებას, არ არის გამართლებული ყველა ძეგლის მიმართ. რასაკვირველია, ისეთი ორნამენტების გამეორება, რომელიც გვხვდება X ს-ში და მის შემდეგ, როდესაც მთელი სიბრტყეებია ჩუქურთმით დაფარული, არც მიზანშეწონილია და ვერც გავაკეთებთ. აქ სავსებით გამართლებულია მხოლოდ პროფილის გამეორება და ამისი კარგი მაგალითიც ბევრია. ჩვენს შემთხვევაში კი, ძეგლის მხატვრული სახე ბევრად სრულყოფილი იქნებოდა კარნიზი მაინც თავისივე სახით, რომ აღგვედგინა, მითუმეტეს, რომ სიბრტყეზე ამოკვეთილი თაღები უფრო პროფილის კატეგორიას მიეკუთვნება.





**მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის  
ახალმოხიანებლობაზე**

უკანასკნელ წლებში მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძირითადად უკავშირდება ახალმოხიანებლობათა მოედნებზე გამოვლენილი ძეგლების გადაარჩენა-შესწავლას. სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის ძეგლები აღმოჩენილია ისტორიულადი მცხეთის ტერიტორიაზე — მცხეთასა და მის შემოგარენში.

საკუთრივ მცხეთაში, სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთ გალავნის გასწვრივ 600 მ<sup>2</sup> ფართობზე 1984-85 წწ. გამოვლინდა 6 ნაგებობა-სახლი და მცირე ქუჩა მათ შორის. ნამოსახლარი მრავალფენოვანია: 4 მ. სიმაღლეზე დადასტურდა ოთხი ურთიერთმონაცვლე ფენა, რომელთაგან უძველესი — I ფენა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას უნდა მიეკუთვნოთ. აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა სამეურნეო ობიექტები და ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ქვევრები, აგრეთვე, წერნაქით შეღებილი კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნაწილები. შემდეგი — II ფენა, რომელიც 4 სამშენებლო იარუსით არის წარმოდგენილი, ადრეშუასაუკუნეების საწყის პერიოდს ეკუთვნის. მომდევნო — III ფენა განვითარებული და გვიანშუასაუკუნეებისა — მწირი მასალით არის წარმოდგენილი, ხოლო IV ფენა — XIX-XX სს. ნაგებობათა ნაშთებს ეჭირა და მასთან დაკავშირებული მშენებლობის ნარჩენების შედეგად იყო წარმოქმნილი. ყველაზე კარგად არის დაცული II ფენა, რომელიც 4 სამშენებლო დონით არის წარმოდგენილი. ამ დროის 6 სახლი და მასთან დაკავშირებული კომპლექსები გადაკვეთილია მოხრეშილი მცირე ქუჩით, რომლის სიგანე 4 მ-ია და გამოვლენილია 14 მ სიგრძეზე. ამ პერიოდის სახლები 1 მ სიმაღლეზე ნაგებია რიყის ქვით და ქვატენილით თიხაზე, შემდეგ კი — კედლები ალიზით ამოუყვანიათ და კრამიტით გადაუხურავთ. თიხატყეპნილ იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ჩაქცეული კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. როგორც ჩანს, საცხოვრებელი შენობები ცეცხლმა გაანადგურა. აღნიშნული სახლები მრავალჯერ არის გადაკეთებული და იქ გამოვლენილი მასალების მიხედვით (სამშენებლო, სამეურნეო, სუფრის და საშარბულო კერამიკა, აგრეთვე მონოქრომულად მოხატული თიხის ჭურჭელი) ადრეული შუასაუკუნეების საწყის საფეხურს (IV-V სს) ეკუთვნის.


ამრიგად, სვეტიცხოვლის საბატრიარქო ტაძრის გალავანთან აღმოჩნდა გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების მცხეთის ქალაქგვგმარების მეტყველი ნიმუში. ზემოაღნიშნული ნამოსახლარის შესწავლა აუცილებელი გახდა სვეტიცხოვლის გალავნის გარშემო მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით. ამავე სამუშაოებს დაუკავშირდა სამთავროს საყოველთაოდ ცნობილი სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთით გამოვლენილი ძეგლების — სამარხების და გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთების შესწავლა. ინვენტარის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია 905-ე სამარხში. იგი მიწის ზედაპირიდან 1,65 მ სიმაღლეზე



მცხეთა. სვეტიცხოველი VI. ადრეშუა-საუწყუნეების საწყისი პერიოდის ნაშთ-სახლარი.

Михета. Светицховели VI. Поселение раннего средневековья.

გამოვლინდა. სამარხი-აკლდამა აუგიათ შორეუხო ფერის ქვიშაქვის კარგად ნათალ-ნაკოდი ფილაქეებით. გეგმაში სამარხი ნაგებობა წარმოადგენს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილ, წაგრძელებულ ორფერდა სახურავიან ქვაყუთს (ზომები: 2,80X1,57X1,67 მ, გარე; 2,47X1,22X1,65 მ. შიდა), რომლის კედლები ოთხი ფილისაგან შედგება. ვანივი კედლები ხუთკუთხა მოყვანილობისაა. კედლებზე ამოკვეთილია ნარიზანდები, რომლებშიც ჩადგმულია გრძივი კედლები. ვანივი კედლების ზედა, სამკუთხა მოყვანილობის გვერდებზე, ეყრდნობოდა სახურავის ერთიანი ფილაქეები. სახურავის ზედაპირზე — კებზე სამ ადგილას ამოკვეთილი იყო ფოსოები რკინის კაეების — გამირებისათვის, რომლის ბოლოები ტყვიით ჩაუღლეებიათ. აკლდამის იატაკი სამი ფილაქვისგან შედგებოდა. იატაკზე ესეენა ორი მიცეალეული დედაკაცი, ხელფეხმოკეცილი, ერთმანეთის პირისპირ, თავით აღმოსავლეთისაკენ. მიცეალეულისათვის ვარკვეული წესით ჩაუწყვიათ შრავალრიცხოვანი და შრავალფეროვანი ინვენტარი — ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის, ოქროს ნივთები, რომლებიც მეტყველებს აკლდამაში დაკრძალულთა სიმდიდრესა და განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. აკლდამაში აღმოჩნდა: ბრინჯაოს პატერა და ენობოია, რომლებიც საწესო ჭურჭელს წარმოადგენს და როგორც წესი, წარჩინებულ პირთა სამარხებში გვხვდება; ვერცხლის მოზრდილი სინი, რომელზედაც ცხვრის კანკი იდო, როგორც ჩანს, საიმქვეყნო „საგზალი“; რკინის სასანთლე ჯამი — ლამპარი, რკინისავე ჯამით ჩამოკიდებული სამარხის კედელზე; ვერცხლის ორი სურა, ვერცხლის ორი მცირე ზომის ჯამი და ორი პინაკი, მოართული მცენარეული ორნამენტი; ვერცხლის ფიგურული სინი და გვერდებმოქრული ლანგარი, რომელზედაც წერტილოვანი წარწერა აღმოჩნდა ამოკვეთილი. ორივე მათგანი შემკულია მცენარეული სახეებით; ვერცხლის ორყურა, ქუსლიანი სასმისი — თასი; ვერცხლის კოლოფი (სკივრი), რომლის პირიზხარეს გამოსახულია სიუჟეტი ბერძნული მითოლოგიიდან, კოლოფის სახურავს



წიწამური II. გვიანანტიკური ხანის ნაშთ-  
სახლარი.

წიწამური II. Поселение позднеан-  
тичной эпохи.

წიწამური II. ბრინჯაოს ენობის ქანდა-  
კოვანი ყური.

წიწამური II. Ручка от бронзовой  
эпохой.

გორგონა — მედუზას გამოსახულება ამკობს. აღნიშნული კოლოფი, როგორც ჩანს, ქალის (პირისსაფარეშო) საგანს წარმოადგენდა. ამავე დანიშნულები-  
საა ვერცხლის სარკე, რომელზედაც ბერძნული შითოლოგიის პერსონაჟებია  
გამოსახული — დიონისე, ამური და არიადნე. განსაკუთრებული ყურადღება  
მიიქცევა აქატისაგან დამზადებულმა ორმა პატარა ჭურჭელმა — ამფორისკმა,



წიწამური III. გორასამარხი, შეაბრინჯა-  
ოს ხანა.

ციწამური III. Курган № 13, средне-  
бронзовая эпоха.

წიწამურა III. ღვთაება „ანთროპოსის“  
ტერაკოტული ქანდაკება.

ციწამური III. Терракотовая стату-  
етка божества «Антропос».



რომლებიც იშვიათი ოსტატობით არის დამზადებული. სათარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქრო-ვერცხლის სამკაული და ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები — ოქროს ხუთი მასიური ბეჭედი, რომელთაგან სამის სათვალბუდეში ზის კამეა (ქალის, მამაკაცის და ბავშვის გამოსახულება), ორ ბეჭედში — გრანიტისა და ამეთვისტოს თაღებზე — ამოკვეთილია ათენასა და ჰიგეას გამოსახულებები. ერთ-ერთ სპაგანს (ჰიგეას) ბერძნული წარწერა ახლავს. მიცვალებულთა პირისაბის წინ ჩადგმულ პინაკში აღმოჩნდა ოქროს ორი წვეილი მარგალიტებით შემკული საყურე, ოქროს მოთვალული მძივები — ფირუხით და პიროპით დამშვენებული, ოქროს



ყელსაბამი, მიიყვები — სხვადასხვა მასალისა და ფორმის; მენიღური საბეჭდავი, ქვის აღმოსავლური წარმომავლობის საბეჭდავი — ცილინდრი. ერთ-ერთი მიცვალებულის წვივებზე შერჩენილი იყო ოქროს მოთვალული საწვივე რგოლები. დაკრძალულთა თავის გარშემო აღმოჩნდა მიცვალებულთა საშუბლე გვირგვინის ოქროს ფურცლები და ბაგის საფარი. აკლდამაში აღმოჩნდა აგრეთვე: 34 მონეტა, 31 ვერცხლის (ავგუსტეს დენარები, გოტარზეს დრაქმები, ერთიც ტრაიანეს სახელით მოჭრილი მონეტა) და 3 ოქროს აურეუსი — ორი იმპერატორ ნერონის, ერთიც — ადრიანესი, უამრავი ოქროს კილიტი და ოქრომკედის ნაწილები.

ზემოჩამოთვლილი ნივთების დიდი ნაწილი მსგავსია, ზოგ შემთხვევაში სრულიად არ განსხვავდება ბაგინეთის სარკოფაგში და არმანისხევში, ერისთავთა განსასვენებელში აღმოჩენილი ძეგლებისა და ზოგადად II საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის პირველ ნახევარს, შესაძლოა, შუა ხანებს მიეკუთვნოს.

ახლად აღმოჩენილი აკლდამის ნივთების ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, რომ იქ დატყრძალავთ ქართლის, (იბერიის) ძველი დედაქალაქის — მცხეთის წარჩინებული ოჯახის (მეფის სახლის) წარმომადგენლები. 905-ე სამარხ-აკლდამაში დაკრძალულთა სოციალურ კუთვნილებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ვერცხლის მოჭრული ლანგარის ფსკერზე მოთავსებული პართული წერტილოვანი წარწერა: პრინცი თირიდათი [ეს ლანგარი] მისი საკუთარია. სამთავროს ჩრდილოეთით, ბაიათხევის მარცხენა სანაპიროზე, მშენებლობისათვის ჩატარებული მიწის სამუშაოებისას, აღმოჩნდა გვიანანტიკური ბანის სამაროვანი. გათხარა 35 სამარხი, უმეტესწილად კრამიტსამარხები (18). სამარხებში დადასტურდა საკმაოდ მდიდრული და პრაქტიკული ინვენტარი: ოქროს საყურეები, ვარდულები, ღილები; მიცვალებულის სამგლოვიარო საშუბლე გვირგვინის ფურცლები, მინის ჭურჭელი, მძივსამკაული, ვერცხლისა და ბრინჯაოს გემაინტალით შემკული ბეჭდები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქალცედონის მრავალწახნაგა საბეჭდავმა, რომლის სამივე წახნაგზე ამოკვეთილია გამოსახულებები (ირემი, ძალი და ქურციკი) და ნადირობის სცენა. აგრეთვე სანელსაცხელის სასარესი ნივთი, რომელზედაც წერტილოვანი ორნამენტით ამოკვეთილია არქიტექტურული კომპლექსის (შზის ტაძრის) და ფრინველების გამოსახულება. საქართველოს სამხედრო გზის გაფართოება-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოებისას აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები ღართისკართან და წიწამურთან, არაგვის ორივე სანაპიროზე.

ღართისკართან გამოვლინდა ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილები — ზღუდე-გალავანი და ოთხკუთხა კომპლექსი კონტრაფორსებით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, ხიდთან აღმოჩნდა კარიბჭის ნაშთები და ნამოსახლარი, რომელიც ერთ ხუროთმოძღვრულ კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს. ოთხი სათავსი (თითოეულის ფართობი დაახლოებით 20-25 მ²) ერთ ხაზზე — ანფილადურად არის განლაგებული. შენობები ნაგებია ალიზით — ქვის საფუძველზე, იატაკები მოკირწყლული ყოფილა პილარული ხსნარით, ხოლო სახურავი გადაუხურავთ



ნიჩბისხევი. გვიანბრინჯაო — ადრე-  
კინს ხანის სამაროვნის ნაწილი.

ნიჩბისხევი. Часть могильника  
эпохи поздней бронзы — раннего  
железа.

ბრტყელი, გვერდებაეციკლი და ღარიანი შეღებილი კრამიტი. აღნიშნული სათავები უკავშირდება შიდა ეზოს, რომელიც ამჟამად მოჭმედი გზის ქვეშ ვრცელდება.

ღართისკარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე, მცხეთის შემოვლითი გზის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩნდა და გაითხარა 400 მ<sup>2</sup> ფართობი, სადაც გამოვლინდა თიხა — ალიზითა და ხის ძელებით ნაგები საკულტო შენობა (ტაძარი — სამლოცველო). იგი გვეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა და სამ ნაწილად (სამ ნაგად) ჩანს გატიხრული. სამლოცველო ფერდზე მოჭრილ ტერასაზე გაუნართავთ (შემორჩენილი ნაწილის ფართობი 198 მ<sup>2</sup>). ცენტრალურ ნაწილში, ზურგიმხარის კედელზე მიშენებულია ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველი (0,57 მX0,77 მ). სამლოცველოს შუა ნაწილში აღმართულია ალიზით ნაგები სამსხვერბლო, რომელსაც დასავლეთის მხრიდან გობისებური მინაშენი აქვს. სამლოცველოს თიხატყეპნილ იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოწითალოდ და შვადდ გამომწვარი თიხის ტურქული, რომელთა უმრავლესობა თეთრი ანგობითაა მოხატული. სამლოცველოში გამოვლენილი მასალები ელინისტური ხანით თარიღდება.

არავგის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, წიწამურის მიდამოებში აღმოჩნდა ძირითადად ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები. არავგის ხილთან გამოვლინდა მრავალფენიანი ძეგლი: ქვედა ფენები შეიცავს ადრე-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთებსა და შუაბრინჯაოს პერიოდის გორასამარხსა და კატაკომბური ტიპის საკრძაღვს. ზედა ფენები კი უკავია ანტიკური ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანს. ახ. წ. I საუკუნის ფენაში აღმოჩენილ მასალაში გამოირჩევა ტერაკოთული ქანდაკება (სიმაღლე — 22,5 სმ.). იგი პერმადროდიტია და ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ღვთაების — „ანთროპოსის“ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს.



ქალტარი, გვიანბრინჯაოს ხანის ორმო-  
სამარხი ვახსნის შემდეგ.

Натахтари. Грунтовое погребение  
эпохи поздней бронзы после препа-  
рации.



წიწამურის სერის დასავლეთით, ვხის პირას, გაითხარა გვიანანტიკური ხანის ორფენიანი ნამოსახლარის ნაშთები და ახ. წ. I საუკუნის სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებისა და ორმოსამარხებისაგან შედგება. ნამოსახლართან გამოვლინდა საყულტო მოედანი (3 მ. X 2 მ.), სადაც აღმოჩნდა: ღვთაებათა ქანდაკებებით შემკული ბრინჯაოს საღვინე ჭურჭლის სახელური, ოქროს საყურეები, მინის სანელსაცხებლე. და ბრინჯაოს ორნამენტირებული საწესო ჭურჭელი — ბატილუმი (სიგრძე — 22 სმ.). იგი ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნივთია და რომაულ იმპორტს წარმოადგენს. აღნიშნული მონაპოვარი კიდევ ერთი დასტურია იმ გატბოვებულ საეპრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობისა, რომელიც რომსა და იბერიას შორის არსებობდა ახ. წ. პირველ საუკუნეებში. მცხეთის შემოგარენში, ნარეკვაზე, მდინარე ნარეკავის სანაპიროზე განლაგებულ ბორცვებზე გამოვლენილია ადრეკინის ხანის (ძვ. წ. VIII-VI სს.) ნამოსახლარები. იქ გათხრები ძირითადად მიმდინარეობს მუხრანის ველის ელემენტოქვესადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სახლები წარმოადგენს ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე ქვა-ალიზითა და ხით ნაგებ, ბანურსახურავიან ნახევრადმიწურებს (ფართობი საშუალოდ 30-40 მ<sup>2</sup>). დასტურდება ამ ტიპის შენობათა მყარად ჩამოყალიბებული ინტერიერის დეტალები: პურის საცხობი ღუმელი შენობის მარცხენა კუთხეში და ზურგიმხარის კედელზე მიდგმული სამსხვერპლო-საყურთხვევლი. შენობებში გვხვდება რქისებურშვერილიანი საყურთხვევლები, ხელსაფქვავეები, სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაწარმი, ლითონის ნამგლები, მარცვლეულთა ნაშთები და სხვ. როგორც ირკვევა, განვითარებული ყოფილა ტრადიციული დარგები: მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

მუხრანის ველზე მიმდინარე სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით არქეოლოგიური გათხრებისას ჩნდება სხვადასხვა ეპოქის ძეგლები. 1985-86 წწ. სოფ. ნატახტარის სამხრეთ-დასავლეთით გაითხარა შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხი და გვიანბრინჯაო-



ღართისკარი. ელინისტური ხანის ნაშთ-  
სახლარი.

Гартисკари. Поселение эллинистиче-  
ской эпохи.

ადრერკინის ხანის სხვადასხვა ტიპის სამარხები. მიცვალებულები ძირითა-  
დად წავრძელებული ფორმის კუთხეებმომრგვალებულ, ქვაყრილიან ორ-  
მოსამარხებში დაუკრძალავთ.

ანტიკური ხანის სამარხებში დადასტურდა წითლად, ჩალისფრად გა-  
მომწვარი და შავბრიალა კერამიკა, აგრეთვე წითლად შეღებილი ჭაშები და  
ხელაღები, ბრინჯაოსა და ვერცხლის ზურგშეზნექილი სამაჯურები, სხვადას-  
ხვა ფორმისა და მასალის მძივები; მითრიდატე II (ძვ. წ. 123-88 წწ.) და  
ოროდ II-ის (ძვ. წ. 57—38/37 წწ.) ვერცხლის მონეტები, რაც საშუა-  
ლებას გვაძლევს მათი თარიღი ძველი და ახალი ათასწლეულების მიჯნით გა-  
ნესაზღვროთ. ნარეკვავე და საერთოდ მცხეთის შემოგარენში დიდი რაოდენობით  
ძეგლების აღმოჩენა, რომელთა სამრავლე განსაკუთრებით თვალ-  
შისაცემია ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებისათვის,  
ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას: ამ ეპოქის დემოგრაფიულმა სი-  
ტუაციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ პროცესების დაჩქარება, რა-  
მაც ხელი შეუწყო მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ქალაქის წარმოშობას.

1985 წელს ციხედიდის ხევში, სოფ. ძეგვთან მცხეთა-გორის საავტომო-  
ბილო გზის რეკონსტრუქცია-გაფართოებასთან დაკავშირებით გაითხარა ად-  
რეელინისტური ხანის სამაროვანი. სამარხები მცირე ზომის ფილაქვით ნა-  
გებ ქვყუთებს წარმოადგენდა. ყველა სამარხში ერთი მიცვალებული იყო  
დაკრძალული. ისინი ხელფეხმოკეცილი, თავით ძირითადად ჩრდილოეთით  
მიმართული დაუკრძალავთ. სამარხებში აღმოჩნდა: რკინის ცულები, ბრინ-  
ჯაოს სამფრთიანი, მასრაგახსნილი ისრისწვერები, ბრინჯაოს მასიური სამაჯუ-  
რები, სხვადასხვა ჭიშისა და ფორმის მძივები, რკინის რომბისებური მოყ-  
ვანილობის მასრაგახსნილი და მასრამთლიანი შუბისწვერები და სხვა მასა-  
ლა — მსგავსი და ძირითადად სინქრონული კამარახევის, მუხათვერდის, გო-  
მარეთის, ღრმახევისათვის, კავთისხევის, „დაჭრილების“ სამაროვნებზე გა-  
მოვლენილი ძეგლებისა.

ციხედიდის ხევის სამაროვანი კიდევ ერთი ახლადაღმოჩენილი ძეგლია,  
რომელიც კამარახევის, ღართისკარის, მუხათვერდის და კაცთაფანას სინქ-





სამთავრო. სამარხი — აკლდამა № 905  
გახზნის შემდეგ. დეტალი. III ს.

Самтавро. Гробница № 905 после  
препарации, деталь III в.

რონულ ძეგლებთან ერთად გვაწვდის მნიშვნელოვან მასალებს ძველ მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის აღდგენისათვის.

1984-85 წწ. ნიჩბისისხევში, მდინარე ნიჩბურას შესართავთან 7 ჰა ფართობზე გამოვლინდა მრავალფენიანი ძეგლი. არქეოლოგიური გათხრები დაუკავშირდა აგრომშენის (სოფლმშენის სამინისტროს) თანამშრომლებისათვის კოოპერაციული საბაღ-ბოსტნე სახლების მშენებლობას, მიუხედავად გაფრთხილებისა, აღნიშნული კოოპერატივი ძაინც განაგრძობდა მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა ძეგლების საგრძნობი დაზიანება.

ნიჩბისისხევში დადასტურდა ადრესამიწათმომქმედო კულტურის ნამოსახლარის ნაშთები, გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. გაითხარა 19 სამარხი, რომელთაგან 17 ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIV—XII სს.) ქვაწრიანი ორმოსამარხია, ზოლო 2-გვიანანტიკური ხანის (ახ. წ. III ს.) მცირე ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ამრიგად, უკანასკნელ წლებში, ახალმშენებლობებთან დაკავშირებული სამუშაოებისას გამოვლენილი ძეგლები ახალი მნიშვნელოვანი მასალებით ამდიდრებენ მცხეთის ქვეყნის მატერიალური კულტურის ისტორიას.

1. წარწერა ამოიკითხა და გამოაქვეყნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. წერეთელმა.



**ძალის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე,  
ასნიდებიანი ნაგებობა და საცურაო აუზი**

ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 1971 წლიდან მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე გამოვლენილ იქნა საქართველოს არქეოლოგიისათვის მანამდე უცნობი, უდიდესი მნიშვნელობის ძეგლები. გათხრები ძირითადად ერთ, არისტოკრატიულ უბანს შეეხო, ნაქალაქარის სხვა უბნები დღეისათვის მჭიდროდ არის დასახლებული თანამედროვე მოსახლეობით, ხოლო აკროპოლისის, დედაციხეს, რომელიც მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, შემალღებულ ბორცვზე მდებარეობს, შემოვლებული ჰქონია ალიზის აგურით ნაგები გალავანი. ტერიტორიის დიდი ნაწილი, ფართობი დაახლოებით 4 ჰექტარი, თანამედროვე სასაფლაოდ არის ქცეული. მიკვლეულია ნაქალაქარის სინქრონული საპი სამაროვანი.

მდ. ნარეკვავი ქალაქ ძალისს ორ ნაწილად ჰყოფდა. არისტოკრატიული უბანი, რომლის შესწავლაც წლების მანძილზე მიმდინარეობს, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და აკროპოლისის რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული. ეს უბანი წარმოქმნილია ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, იმ დროს, როდესაც მოსახლეობა საქმოდ გაზრდილა, აკროპოლისში ვეღარ დატეულა, და მდინარე ნარეკვავის ნაპირზე დასახლებულა.

ამ ტერიტორიაზე გათხრილი სხვადასხვა დანიშნულების ძეგლები: სასახლეები, საკულტო ნაგებობანი მოზაიკის იატაკით, აბანოები, დიდი ყაზარბული ტიპის ნაგებობათა ნაშთები, საცურაო აუზი და აბსიდებიანი ნაგებობა იმ რანგის შენობებია, რომლებიც მძლავრი ეკონომიკის, მაღალი კულტურისა და განვითარების მქონე, სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფ საზოგადოებას მიეკუთვნება.

გათხრებით გამოვლენილი მრავალრიცხოვანი მასალების მიხედვით, მდ. ნარეკვავის ნაპირებზე არსებული დასახლება ძვ. წელთაღრიცხვის მიწურულში უნდა გადაქცეულიყო ქალაქად, რომელმაც განვითარების აპოგეას ახ. წ. I-II საუკუნეებში მიაღწია, ხოლო IV საუკუნეში კატასტროფა განიცადა.

ამჯერად შემოვიფარგლებით ბოლო ორი წლის მანძილზე განთხარა ძეგლების: სასახლის, აბსიდიანი ნაგებობისა და საცურაო აუზის აღწერით.

სასახლე, რომლის ნანგრევები 1,5 მ სისქის მიწის ფენით იყო დაფარული, 1984-1985 წლებში გაითხარა. მისი ფართობი 2500 კვადრატულ მეტრზე მეტია და შედგება სამ ათეულადე სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა და დანიშნულების ოთახებისგან. ჯერ-ჯერობით ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი და უდიდესი სასახლის ტიპის ნაგებობა, რომლის ცენტრში მოთავსებულია რომაული გვემარების ღია ეზო-ატრიუმი.

ატრიუმთან სასახლის ნანგრევების აღმოჩენა ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე მეორე შემთხვევაა. პირველად ამ ტიპის ნაგებობის ნაშთები, რომელიც შედარებით მცირე მოცულობისაა, 1974-1975 წლებში გაითხარა, იგი აბანოს კომპლექსის შემადგენლობაშია მოქცეული. მიუხედავად ამისა აქაც არის ნათლად გამოკვეთილი ატრიუმისათვის დამახასიათებელი ნიშნე-



ბი: ატრიუმში — ღია ეზო აგებულია ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ქვიშა-  
ქვისა და ტუფისქვის გათლილი ქვებით. ცენტრში მოთავსებულმა მარჯვენა კუთხეში  
რებით შემოვლებული შადრევნის ოთხკუთხედი აუზი, რომლის კუთხეებშიც  
აღმართული ყოფილა ოთხკუთხა განივკვეთიანი კოლონები. ატრიუმს დასავ-  
ლეთის მხრიდან ჰქონია ასევე გათლილი ქვებით ნაგები სატაძრო განყოფი-  
ლება, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში, ოთხკუთხა განივკვეთიან კოლონებს შო-  
რის, მრგვალ კვარცხლბეკზე აღმართული ყოფილა რომელიღაც ღვთაება.  
ჩრდილოეთით ატრიუმს შემორჩენილი აქვს კარის ორი ზღურბლი, ხოლო  
აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან მოგვიანო მშენებლობის დროს ასე-  
თი ზღურბლები მთლიანად მოუწვრტევიათ.

ახლად გამოვლენილი სასახლის ღია ეზო-ატრიუმში გეგმაში ოთხკუთ-  
ხედს წარმოადგენს და შადრევნის აუზითურთ გათლილი ქვით არის აგებუ-  
ლი. ოთხივე მხრიდან კედლებით შემოზღუდული ღია ეზო-ატრიუმის ფარ-  
თობი — 8,35X8,35 კვადრატულ მეტრს უდრის. ღია ეზოში მო-  
თავსებული შადრევნის აუზი კვადრატს წარმოადგენს, მისი ფართობი 28,5  
კვადრატული მეტრია, აუზის კედლების სიმაღლე კი — 0,75 მ. შადრევნის  
აუზის იატაკი და კედლები რიყის ქვით დულაბზეა ნაგები, ხოლო შემდეგ  
მოპირკეთებულია 0,1 მ. სისქის კარგად გათლილი ქვიშაქვის ქვებით, რომ-  
ლებიც ერთმანეთთან ფოსოებში ჩატყვიებული რკინის სამაგრებით, გამირე-  
ბით ყოფილა გადაბმული. აუზის ცენტრში ოთხკუთხა განივკვეთის მქონე  
კვარცხლბეკი მდგარა, რომლიდანაც წყალი გადმოჩქეფდა.

აუზის იატაკის დონემდე, წყალი თიხის მილებით ყოფილა გამოყვანი-  
ლი. იგი გამოვლენილ იქნა 45 მ-ის სიგრძეზე და აბანოს კომპლექსის და-  
სავლეთით მდებარე წყალგამყოფი ქიდან მოედინებოდა.

სასახლის მეორე, ფრიად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, ცენტრა-  
ლური გათბობის გადარჩენილი ნაწილი — „ჰიპოკაუსტი“ წარმოადგენს. იგი  
ღია ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მისგან გამოყოფილია  
ორმაგი კედლით. თუ ერთ მთლიანობაში წარმოვიდგენთ მთელ სასახლეს, მა-  
შინ ცენტრალური გათბობა-ჰიპოკაუსტით, მის შუა ნაწილში მდებარეობდა,  
რომელსაც მთელი ნაგებობა უნდა გაეთბო. თუ მხედველობაში მივიღებთ,  
რომ სასახლე ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება, მაშინ ნათელი წარმოდ-  
გენა შეგვექმნება იმდროინდელი ქართლის სამეფოს მაღალ კულტურასა და  
განვითარებაზე.


ჰიპოკაუსტი გეგმაში კვადრატს წარმოადგენს — 11,8 მ X 11,8 მ, ფართო-  
ბი — 139,2 კვადრატულ მეტრს უდრის. ჰიპოკაუსტის იმ ნაწილს, სადაც კა-  
ლორიფერებია განლაგებული, წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა და  
სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, სამხრეთის მხრიდან, სწორკუთხედის მოყვა-  
ნილობის გამონაზარდი აქვს. ჰიპოკაუსტში სიგრძეზე კალორიფერების 13.  
ხოლო გამონაზარდამდე — 6, გამონაზარდითურთ კი — 9 რიგია.

კალორიფერებად გამოყენებულია სპეციალურად დამზადებული, ოდნავ  
თავშევიწროვებული თიხის მილები, რომელთა სიმაღლე — 0,63-0,69 მ, თა-  
ვის დიამეტრი — 0,16-0,24 მ, ფართე ბოლოს დიამეტრი — 0,23-0,30 მ  
შორის მერყეობს. მილებს გვერდებზე ამოკვეთილი აქვთ — 3-5 სმ სიგანისა  
და 5-9 სმ სიმაღლის სწორკუთხედის მოყვანილობის ფანჯრები, თავსა და



ძალიანი სასახლის გეგმა.



Дзалиси. План дворца.



ბოლოში კი შემოსდევს 3-4 სმ-ის სიფართის სარტყლები. მიღების კეცის სისქე — 2,5-3 სმ უდრის. ჰიპოკაუსტი მიწაშია ამოშენებული. კედლები ამოყვანილია ოთხკუთხედი აგურით, რომლის 18 რიგი ერთმანეთზე კირხსნარით არის შედუღებული. კედლების სიმაღლე — 0,82 მ-ია. სამხრეთის კედელი შევეულად არის აგებული, ხოლო დანარჩენი კიბის საფეხურების მავგვარად და ამდენად დამრეცია. დამრეცი კედლები, ერთმანეთს 0,25 მ დაშორებული კბილანებით ბოლოვდება, რომელთა სიმაღლე — 0,22 მ უდრის. კბილანებს შორის თავის დროზე ჩადუღებული ყოფილა თიხის მილები, რომლის საშუალებითაც ჰიპოკაუსტიდან ცხელი ჰაერი მიედინებოდა ალიზის კედელზე გაკრულ, კვადრატული ფორმის, კუთხეებში 5-9 სმ სიმაღლის შეერილებიან ფილებსა და კედელს შორის დარჩენილ სივრცეებში. კალორიფერებს თავზე დახურული ჰქონდათ დიდი ზომის (60 სმ X 60 სმ X 5 სმ) კერამიკული ფილები, რომლებზედაც ზევიდან დასხმული იყო 10-15 სმ სისქის ჰიდრაულიკური კირხსნარი და იატაკი იყო გამართული.

საცეცხლე არხი ჰიპოკაუსტს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონია. ეს კუთხეა მოქცეული სატაძრო განყოფილებაში. სატაძრო განყოფილება კედლებით მკვეთრად არის გამოყოფილი სხვა ოთახებისგან, მისი ფართობი 196 კვადრატულ მეტრს უდრის და სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი მოთავსებული ყოფილა სწორკუთხედი ფორმის (1,6 მ X 1,4 მ) სამსხვერპლო-საკურთხეველი, რომლის საძირკველი ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე.

სასახლეში შემავალი მრავალრიცხოვანი დარბაზებისა და ოთახების ზევით, ძალიან მოკლედ, აღწერილი იყო მხოლოდ ღია ეზო და ცენტრალური ვათობის შემორჩენილი ჰიპოკაუსტი. სასახლის ოთახ-დარბაზებიდან აღსანიშნავია სამინებელი ოთახები, ისინი განლაგებული ყოფილა მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სათათბირო დარბაზი, რომელიც ღია ეზოს ჩრდილოეთით მდებარეობს, ორგანყოფილებიანი საპირფარეშო, საკუთარი კანალიზაციით და წყალსადენით სასახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთის მხრიდან არის ჩაშენებული. სხვადასხვა ზომისა და სიდიდის ოთახები და წინკარი განლაგებულია სამხრეთის ნაწილში, ხოლო სასახლის სამხრეთ-



ძალის. სასახლის ცენტრალური გათბობის მიმოკაუსტის გეგმა.

ღია ეზო ატრიუმის გეგმა შადრევნის აუზით.

**План гипocaustа дворца.**

**План атриума с фонтаном.**

აღმოსავლეთით ნახევრად ღია და ღია ეზოები ყოფილა მოწყობილი.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის გათლილი ქვები, ოთხკუთხედი აგური, კერამიკული ფილები და კალორიფერებად — სპეციალურად დამზადებული მილები, ორივე ტიპის კრამიტი, კვადრატული (36X36 სმ) ფილები, რომლებსაც კუთხეებში 5-9 სმ სიგრძის შევრილები აქვს და ალიზის აგური.

ნაგებობის საძირკველი გამართულია რიყის ქვით, პერანგული სისტემით. საძირკველში რიყის ქვების მხოლოდ ერთი, კირხსნარით გამაგრებული წყებაა, რომელზედაც ზევიდან ერთ წყებად დალაგებული ყოფილა ქვიშაქვისა და ტუფის ქვის გათლილი ქვები, მათი სიგრძე ზშირ შემთხვევაში 2 მ, სიგანე — 1,2 მ, ხოლო სისქე — 0,25 მ აღწევს. კედლები აყვანილი იყო ალიზის აგურით, ისინი შიგნიდან შეღესილი და მოხატული ყოფილა. ნაგებობა დახურული იყო კრამიტით, დარბაზებსა და ოთახებს იატაკი გათლილი ქვისა ჰქონდა. ქვები ერთმანეთზე ფოსოებში ტყვიით ჩამაგრებული რკინის გამირებით ყოფილა გადაბმული. ასე გამოიყურება ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი სასახლე გამოვლენილი მასალებისა და შემონახული გეგმის მიხედვით. სასახლეს, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ღია ეზოში ჰქონდა შადრევანი, ხოლო მის გვერდით კარგად გამართული ცენტრალური გათბობა, რაც სწორუბოვარი შემთხვევაა საქართველოს არქეოლოგიაში.

მეორე დიდი ნაგებობა, რომელიც გათხრილი იქნა 1985 წელს და საცურაო აუზს მიშენებული აქვს სამხრეთიდან, აბსიდებიანი ნაგებობაა. სამშენებლო მასალად აქაც გამოყენებულია რიყის ქვა, ალიზის აგური, კირხსნარი, ბრტყელი და დარისებური კრამიტი. აბსიდებიანი ნაგებობა სამხრეთიდან არის მიშენებული საცურაო აუზის სამხრეთის აბსიდაზე და დაზიანებული აქვს სასახლის ღია ეზოში მიმავალი თიხის მილებით გაყვანილი წყალსადე-



აბსიდული ნაგებობის გეგმა.

План строения с абсидами.


ნი, ამდენად ეს ნაგებობა მოგვიანო ხანისაა სასახლესა და აუზთან შედარებით და იგი V საუკუნის შენობას უნდა წარმოადგენდეს.

აბსიდული ნაგებობის, რომლის ფართობი — 703,7 კვადრატული მეტრს უდრის, კედლები ყოველთვის ერთი სისქისა არ არის. ჩრდილოეთის კედელი მასიურია, სიგრძე 46,3 მ, სისქე 1,2-1,7 მ შორის მერყეობს. ცენტრალური დარბაზის კედლების სისქე 1,7 მ, ოთახებისა კი — 1,1-1,2 მ აღწევს.

ჩრდილოეთის კედელში სამ ადგილზე: მე-3, მე-5 და მე-7 დარბაზებში, აგურით კირხსნარზე ნაშენი, გამჭოლი თაღებია დატანებული, თუ რით არის გამოწვეული აქ მათი გაკეთება, ჯერჯერობით ნათელი არ არის. სულ შენობაში 7 დიდი დარბაზი ყოფილა, რომელთაგან პირველი და მერვე განაპირა დარბაზები გადატიხრულია, ამდენად გეგმაზე აქამად 9 დარბაზი და ოთახია წარმოდგენილი. აქედან ოთხი დარბაზი სამხრეთის მხარეს სწორი კედლით, ორი მომრგვალებული და ცენტრალური დიდი დარბაზი კუთხეებიანი აბსიდით ბოლოვდება. ამ ხანისათვის ამ ტიპის ნაგებობის აღმოჩენა საქართველოს არქეოლოგიაში ასევე სწორუპოვარი შემთხვევაა.

მესამე დიდი ნაგებობის ნანგრევები, რომელიც 1984-1985 წწ გაითხარა, საცურაო აუზია. მას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი კავშირის ტერიტორიაზეც არ მოეპოვება ბადალი. იგი 1974-1975 წწ გათხრილი აბანოს კომპლექსის სამხრეთითაა და მისგან 5 მეტრითაა დაშორებული.

საცურაო აუზი გეგმაში წესიერი სწორკუთხედიანია. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ოთხივე მხარეს, კედლების შუა ნაწილში, შესანიშნავად გამოყვანილი აბსიდები აქვს. აუზის კედლები, რომლის სისქე 0,7-1,00 მ, ამოშენებულია მიწაში რიყის ქვით კირხსნარზე. კედლები მოპირკეთებულია კარგად გათლილი, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ქვიშაქვის ქვებით. მოსაპირკეთებელი ქვების სიგრძე 0,23-0,55 მ-ს, ხოლო სიფართო 0,21-0,24 მ შორის მერყეობს. მოპირკეთებასა და რიყის ქვით ნაგებ კედლებს შორის 10 სმ-ის სისქის ჰიდრავლიკური კირხსნარით გაკეთებულია იზოლაცია. ჩრდილოეთის აბსიდაში, რომლითაც აბანოს კომპლექსს უკავშირდება, 9 საფეხურიანი კიბეა გამართული. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში მოწყობილია მერხები ჩამოსაჯდომად, დასასვენებლად. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე გაკეთებულია 0,2 მ დიამეტრის ტრაპი. ამავე ადგილზე, კედლის მეორე მხრიდან მოწყობილია დიდებულად გამართული ჩამკეტი, რომელიც უერთდება გათლილი ქვებით ნაგებ



ძალის, საცურაო აუზის გეგმა.

Дзалиси, План плавательного бассейна.

კანალიზაციის კოლექტორს. აუზის იატაკი დამრეცია. სხვაობა სამბრეთ-დასაელეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის იატაკებს შორის 0,7 მ, ზოლო სამბრეთის და ჩრდილოეთის კედლების იატაკების დონეებს შორის 0,2-0,3 მ აღწევს. აუზის იატაკი ჰიდრავლიკური კირხსნარით არის გაკეთებული. ასეთივე ხსნარით არის შეღესილი აუზი გარეთა მხრიდან. საცურაო აუზი წყლიერესებოდა აბანოს კომპლექსში დასავლეთის მხარეს შემოუყვანილი ორი ორმაგი წყალსადენის საშუალებით.

საცურაო აუზის შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2,07 მ უდრის. აუზის სიგრძე — 33,4 მ. ამსიდებითურთ — 39,6 მ. სიგანე — 11,5 მ. აუზის ფართობი ამსიდეებს გარდა 395,6 კვმ. შეადგენს, მოცულობა 800 კუბ.მ. იქნებოდა.

ბოლო წლებში ჩატარებული გათხრებით გაირკვა, რომ საცურაო აუზი დაკავშირებულია ადრე გათხრილ აბანოს კომპლექსთან, რომლებიც ერთად აღებული, მცირე თერმას წარმოადგენს.

ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე ბოლო წლებში გათხრილი ძეგლები, რომლებიც ქრონოლოგიურად გვიანანტიკურ ხანაში, ახ. წ. I-III სს ექცევა, ნათლად მეტყველებს ქართლის სამეფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე, მაღალ განვითარებულ კულტურაზე. როგორც ირკვევა, ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოება კარგად იცნობდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროს, რომელთანაც მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე გვხვდება რომაული ტიპის ნაგებობები. ახ. წ. II საუკუნეში ქართლის სამეფოსა და რომს შორის მეგობრული ურთიერთობაც დამყარდა. ამის დასტურად გამოდგება ფარსმან მეფის რომში მღება და მის საპატივცემულოდ ცხენოსანი ფარსმანის ძეგლის დადგმა მოედანზე. ეს გარემოება მიუთითებს ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობასა და კეთილშობილურ განწყობაზე.

რაც შეეხება ძალისის ნაქალაქარს, ჩვენ იგი ქართლის სამეფოს სპასპეტის — მხედართმთავრის რეზიდენციად მიგვაჩნია. სპასპეტი, როგორც წყაროებიდან ჩანს, მეფის ძმა და ამდენად იგი სამეფო სახლის წევრია, სამეფოს ხელისუფლების სათავეში იდგა და იმავე პრივილეგიებით სარგებლობდა, რომელიც სამეფო სახლს, სამეფო საგვარეულოს გააჩნდა. დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი, ეკონომიკურადაც უძლიერეს პიროვნებას წარმოადგენდა. ასეთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეს, სწორედ ისეთი რეზიდენცია შეეფერებოდა როგორც ძალისი იყო.



**არქეოლოგიური კვლევა-ძიება „ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში 1984 და 1985 წლებში**

ხაშურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რაიონის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1976 წელს. მას შედარებით ფართო ხასიათი მიეცა 1984 წლიდან, როდესაც ექსპედიციას დაევალა არქეოლოგიური კვლევებითების წარმოება „ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში და თანახმად არსებული კანონმდებლობისა, ამ სამუშაოთა დაფინანსება იყოსრა „საქმელიოწყალმშენმა“.<sup>1</sup>

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია აგრძელებდა მუშაობას ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე სოფ. წალღლის მიდამოებში<sup>2</sup> და დაიწყო მრავალფენიანი ნაშთახლარისა და სამაროვნის შესწავლა სოფ. ნაცარგორაში. წალღლში გაითხარა 45 სამარხი (№№ 94-138).<sup>3</sup> თავისი აგებულებით ეს სამარხები მსგავსია აქვე გათხრილ სხვა სამარხებისა და ამის შესახებ აქ ბევრს აღარაფერს ვიტყვი. გათხრილი სამარხების უმრავლესობა (33) ინჰუმაციურია, დანარჩენი კი კენოტაფი. როგორც ჩანს, მითითებული ორი ტიპის სამარხების შეფარდება ამ სამაროვანზე საკმაოდ სტაბილურია (კენოტაფების რაოდენობა გამოვლენილ სამარხებში თითქმის მესამედს აღწევს). თუ კი წალღლის სამაროვანზე დღეისათვის აღმოჩენილი საბრძოლო იარაღის სიმცირე იმდროინდელი ცხოვრების მშვიდობიანობის ამსახველია, მაშინ კენოტაფების სიმრავლე ალბათ მეურნეობის ხასიათმა უნდა ახსნას.

მოპოვებული მასალის დიდი უმრავლესობა თიხის ჭურჭელია. ამას გარდა აღმოჩნდა ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს სატყეარი, შუბისპირი, საკინძები, სამაჯურები, საკიდები და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. სამარხების უმრავლესობა მიეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს, 12 — შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს და 2 — გვიანი ბრინჯაოს ხანას. 2 სამარხი უინვენტარო იყო. საეურნალო სტატის მოცულობა არ იძლევა საშუალებას დაწვრილებით ვისაუბროთ ჩატარებული მუშაობის შესახებ და ამიტომ, ყურადღებას შევამჩნევთ მხოლოდ ერთ-ერთ, კერძოდ, № 94 სამარხზე, რომელშიც აღმოჩნდა კვერის საკმაოდ კარგად დაცული ნაშთი. სამარხში კვერის აღმოჩენის შემთხვევა ადრეც იყო ფიქსირებული სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>4</sup> მაგრამ განსხვავებით მათგან, წალღლში აღმოჩენილი კვერი დაახლოებით 1000 წლით უფრო ძველია (შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულსა) და თანაც უკეთ დაცული. წალღლში მიცვალებული დაკრძალული იყო კვერს ქვემოთ. სწორედ იქ აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხის, მართალია ცუდად დაცული, მაგრამ უტყუარი ნაწილები და სამკაულები: ბრინჯაოს 2-2 რომბისებურგანივეკვეთიანი ბოლოებგახსნილი სამაჯური, თავზე ანთიმონის ბურთულეებწამოკმული საკინძი, ნაპირებზე ცრუგავარსგაყოლებული საყურე, 7 ბოლოებგაფართოებული, ელიფსის ფორმის, 1,5 ხვიისებური საკინძი და სარდლიონის, გიშრისა და პასტის სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ათეული მძივი. ამას გარდა, სამარხში აღმოჩნდა თიხის 5 ჭურჭელი (ორყურა და უყურო ჭოთნები, კოჭობი, ბადია და ცალყურა სასმისი), რომლებიც დალაგებული იყო სამარხის ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაწილში.






კვერთახი სამარხი (№ 94) წაღვლის სპა.  
როცხიდან.

Цагвльский могильник. Погребение  
№ 94, с молотильной доской.

წაღვლის სამარხიდან აღმოჩენილი კვე-  
რთახი (№ 94) სამარხის ინვენტარი.

Инвентарь погребения № 94





ნაცარგორის ნამოსახლარი. გვიანბრინჯაოს ხანის ჩარგვალური ნაგებობის ნაშთი.

Остаток деревянного сруба эпохи поздней бронзы.



ნაცარგორის ნამოსახლარი. ზედნ — აღდებრინჯაოს ხანის პრეპარირებული დონეები.

Селище Нацаргора. Препарированные слои эпохи ранней бронзы.

კვერი იღო სამარხის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ. კვერის ზის ნაწილები გამჭრალი იყო, მაგრამ შესანიშნავად, უპრავად იყო დაცული კვერის კოხები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება სრული წარმოდგენის შექმნა კვერის ზომებსა და ფორმაზე. კვერს ჰქონია ნაეისებური ფორმა, წინა მხარეს რამდენადმე შევიწროებული და ზეაწეული ცხვირით. მისი სიგრძე 1 მ-ზე მეტი ყოფილა, სიგანე წინა ნაწილში — 40 სმ, ხოლო უკანა ნაწილში — 65 სმ. კოხები განლაგებული იყო 24 მწკრივად. თითოეულ მწკრივში ჩასმული იყო საშუალოდ 18 კენჭამდე, ხოლო შევიწროებულ ნაწილში — 11-11. ალბათ ძნელი იქნება გადაჭარბებით შეფასდეს ასე აღრეული კვერის აღმოჩენის მნიშვნელობა საქართველოს ბრინჯაოს ხანის მეურნეობის შესწავლის საქმეში.

ჯერ კიდევ 1981 წელს ექსპედიციაზე მომავრებულმა მძღოლმა ავთ. ტეფნაძემ ფლევის სასოფლო საბჭოს სოფ. ნაცარგორის დასავლეთით მჩვენა ნამოსახლარი გორა. ზედაპირული მასალა აშკარად მოწმობდა, რომ აქ დაცული იყო ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ნაშთები. ნაცარგორი ფენები და ზედაპირული მასალა მოწმობს, რომ ნამოსახლარი ვრცელდება გორის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მიმდებარე ველზეც, ხოლო დასავლეთიდან იგი საკმაოდ ფართო ყელით არის გამოყოფილი ქედისაგან. არ არის გამოირიბებული, რომ ამ ყელის შექმნაში რამდენადმე მაინც გარეული იყოს ადამიანის ხელიც. ადგილობრივ მცხოვრებლების მინიმუმით სამაროვანს მივაკვლიეთ გორის სამხრეთით ჩამომდინარე ფლელას ლეის გაღმა. აქ უკვე მიკვლეულია ანტიკური ხანის (წინასწარულად ძვ. წ. V—IV სს) მრავალიარუსიანი (უკვე გათხრილია 3 თუ 4 იარუსად განლაგებული 7 სამარხი) და გვიანი ბრინჯაოს ხანის (გათხრილია 2 სამარხი) უბ-



ეროვნული  
ცენტრი



მტკვარ — არაქსული და ბედენის კერამიკა.

Куро — Аракская и Беденская керамика.

ნები. როგორც ჩანს, აქვეა მოსალოდნელი ადრებრინჯაოსა და სხვა პერიოდების სამარხების გამოჩენაც.

დავებრუნდეთ ისევ გორა-ნამოსახლარს, რამდენადაც საანგარიშო პერიოდში ძირითადად სწორედ მის შესასწავლად იყო წარმართული საველე სა-



მუშაობები. 1984 და 1985 წლებში არსებითად დამთავრდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენების შესწავლა გორა-ნამოსახლარის თხემის დასავლეთ ნაწილში და დაიწყო ადრებრინჯაოს ხანის ფენების თხრა. ნაცარგორაზე ცხოვრება, როგორც ჩანს, არც შემდგომ პერიოდებში (ანტიკური, ადრე შუა საუკუნეები) შეწყვეტილა, მაგრამ მათი შესატყვისი ფენები დღეისათვის ფაქტიურად გადარეცხილია და თიხის ჭურჭლის ცალკეული ნატეხებია შემორჩენილი.

ასევე დანაწევრებული და მცირე ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი ძირითადად გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენებიც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით საკმაოდ კარგად დაცულ ნაშთებსაც. ასე მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთ სექტორის III ფენაში გაითხარა ხანძრისაგან განადგურებული, საკმაოდ მოზრდილი, ბათქაშით შეღესილი ძელებით ნაგები სათავსი, არც თუ ცუდად დაცული სამსხვერპლოთი. ამ სათავსის თხრისას მოპოვებული საკმაოდ დიდი რაოდენობის თიხის ჭურჭლის ნატეხები და ათამდე მთელი ჭურჭელი საშუალებას გვაძლევს ეს ფენა წინასწარულად გვიანი ბრინჯაოს ხანის განვითარებულ ეტაპს მივაკუთვნოთ.

ნაცარგორის ნამოსახლარზე ჩატარებული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს გორის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში გამოვლენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის საკმაოდ ადრეული ეტაპის მიწური ჭარგალური ნაგებობის კარგად დაცული ნაშთი. მართალია მისი გათხრა საანგარიშო პერიოდში ჯერ კიდევ არ დასრულებულა მთლიანად, მაგრამ უკვე გამოვლენილი ნაწილებიც, პირველ რიგში კი ჭარგალის კედლის თითქმის 2 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილი ბათქაშის ანაბეჭდები კუთხის სათანადო ჭდეებით, მნიშვნელოვანი და საინტერესო შენაძენია ჩვენი არქეოლოგიისა.

როგორც ჩანს, ხაშურის რ-ნის ნაცარგორის ნამოსახლარი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის, თუნდაც იმიტომ, რომ აქ პირველად შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ ე. წ. მტკვარ-არაქსულ კულტურის წიაღში ბედნური კულტურის გაჩენასა და განვითარებას. მართალია, საანგარიშო პერიოდში ამ ფენების შესწავლა მხოლოდ დაიწყო, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ გორა-ნამოსახლარის დასავლეთ კიდეზე გამოვლენილი ამ ფენების სიმძლავრე დაახლოებით 1 მ-ია და შეიცავს სულ ცოტა 6 სამშენებლო დონეს.

ცხადია, ექსპედიცია შემდგომ წლებშიც გააგრძელებს მუშაობას.

1. სოსიამეონო მოვლეობად მიმართა აღნიშნო, რომ ექსპედიციის ძიებებები დასმული ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანწილად არის შეპირობებული „საქმელიოწყალ-მრების“ (დირექტორი გ. წერეთელი, საგეგმო განყოფილების გამგე ნ. ყარაულაშვილი, ტექ. ზედამხედველი თ. გაბლიშვილი) გულისხმიერი დამოკიდებულებით ჩვენი მუშაობისადმი.
2. წინა წლებში აქ ჩატარებული მუშაობის შესახებ იხ. ჩვენი პუბლიკაციები: ძეგლის მეგობარი 63, თბ., 1983, პაი v 1977 გ., თბ. 1980; პაი v 1979 გ. თბ., 1982 გ.
3. ამ სამართებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება და ფიქსაცია არ მოხერხდებოდა ასე ოპერატიულად, ექსპედიციას მხარში რომ არ ამოსდგამოდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (დირექტორი თ. ლაცაბიძე).
4. ტ. ჩუბინიშვილი, მიკვლეულების კვებზე დასაფლავება სამთავროში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII, № 1, თბ., 1951, გვ. 67; Я. ГУММЕЛЬ, Курган № 2 близ Ханлара, КСНИМК вып. XXIV, 1949, стр. 56.

**ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან**

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. ზაყთან, ციხის ყელის მინდორზე (ახალციხის რ-ნი), სოფ. მლაშესთან, ქვედა საირმის ერთ-ერთ ტერასაზე და სოფ. ლელოვანთან „ამხერის გორაზე“ (ადიგენის რ-ნი) მიკვლეული ანდეზიტისაგან დამზადებული ხელნაწახი, საჩეხ-საბეგველა იარაღი (ტაბ. 1, 1, 2) და ანატეცე-ანამტერევები, პირველი მატერიალური დადასტურებაა ძველი ქვის ხანის ადამიანის მოღვაწეობისა ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე. ამ მიმართებით, ასევე მნიშვნელოვანია სოფ. მოხესთან, ფერსათის მთის ერთ-ერთ პლატოზე ანდეზიტური ხელნაწახების მთელი ჯგუფის გამოვლენა, რომელიც ქვედა პალეოლითურ იარაღებადაა მიჩნეული (1). ამდენად, აღნიშნული მასალა საშუალებას იძლევა თვალა მ-ედევნოს უძველესი ადამიანის ცხოვრების კვალს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე და გარკვეულად შეივსოს ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა საქართველოს პალეოლითური ძეგლების გავრცელების სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად.


ასევე საინტერესო სიახლეებით აღინიშნა ექსპედიციის მიერ ბორჯომის ხეობაში კვლევა-ძიება, როდესაც ნასოფლარ საყოჭავთან (მდ. შავწყალას ზემო დინება) პირველად იქნა გამოვლენილი ნეოლითური და ადრესამიწათ-მოქმედო კულტურის ძეგლები ძვ. წ. VIII-V ათასწლეულები. აღნიშნულ კოლექციაში შემავალი ქვის იარაღების ერთ ნაწილს, თვალნათლავ ეტყობა დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლითური ქვის ინდუსტრიის ტრადიციების გავლენა (ტაბ. 1, 3). ვარდა იმისა, რომ საყოჭავის მასალებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კუთხის იმ პერიოდის საზოგადოების ყოფის შესასწავლად და საქართველოს არქეოლოგიური რუკის შესავსებად, იგი ასევე საყურადღებოა ვერტიკალურ ზონაში გავრცელების მხრივაც. ამ მიმართებით, აღნიშნულ მასალას თავისებური სიახლეები შეაქვს მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიის რიგი საკითხების გაშუქებაში. ასევე საყურადღებო ძეგლიც გამოვლენილი და შესწავლილი კ. კალანდაძის მიერ კურორტ აბასთუმანში, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა ვეჭონიით ენეოლითური კულტურის შესახებ სამცხეში (ძვ. წ. V-IV ათასწლეული).

მტკვარ-არეზული კულტურის ძეგლების ძიების მხრივაც მნიშვნელოვანი მასალა მიკვლეული ე. წ. „ფარეხას გორაზე“ (ადიგენის რაიონი). იგი აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდზე ამოღებულ ორ ორმოში, რომელთა ფსკერზე და გვერდებზე მკვეთრად შეიმჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი. მასალა მთლიანად თიხის ნაწარმის სახითაა წარმოდგენილი. მისი ერთი ნაწილი სამხრეთული კულტურის ნიშნების მატარებელია (ტაბ. 1, 4, 5 სომხეთი, აღმოსავლეთი ანატოლია, ჩრდილო მესობოტამია) და დანარჩენთან შედარებით ადრეული ჩანს (ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურული). ნაწილი მასალისა კი უფრო მოგვიანოა (ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი). მასალის საერთო ხასიათი, ძეგლის საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიგვითითებდეს. „ფარეხას გორა“




სამცხეში ჯერჯერობით ერთადერთი უკიდურესი დასავლეთი პუნქტია, სადაც მტკვარ-არეზული კულტურის ძველი დასტურდება და ამდენად მას განუყოფელი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული კულტურის გავრცელების საკითხების კვლევის საქმეში. სოფ. ზველში (ასპანძის რაიონი) მიკვლეული ყორღანული კომპლექსები, მსგავსად ბერთაყანა-ახჩია-ნიალის ველის მასალებისა, არსებითად თრიალეთურ შუაბრინჯაოს ხანის კულტურის წრეში ექცევა. მაგრამ მას გარკვეული თავისებურებებიც გააჩნია. ზველის ყორღანების სამარხ კამერებში დადასტურებულია შუაბრინჯაოს ხანის მძლავრი კულტურული ფენები (1,3 მ — 1,4 მ სისქისა). მასში ჰარბადაა წარმოდგენილი მეურნეობის სხვადასხვა დარგის მალალი დონის მანიშნებელი მასალები (მსხვილი და წვრილფეხა რქოსანი მესაქონლეობა, მეთუნეობა, საიუველირო და წვრილი სამელითონეო ხელოსნობა და სხვ.). აქვე ფართოდაა წარმოდგენილი სატომოთაშორისო ურთიერთობის ამსახველი სხვადასხვა ხასიათის ნაწარმი, რომელიც მიგვანიშნებს თავისებური კავშირების არსებობაზე კოლხეთის დაბლობის, შიდა ქართლის, სომხეთის, ხეთურ-მცირეაზიურ და ეგეოსურ თანადროულ კულტურებთან. ხელთარსებული მონაცემების საფუძველზე, სავარაუდოა, კოლხეთის დაბლობზე ცნობილი ზოგიერთი უძველესი კერამიკული ჭურჭლის ფორმა ნასესხები იყოს სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული შუაბრინჯაოს ხანის სამეთუნეო საწარმოო ტრადიციებიდან. ზველის ყორღანების მშენებელი საზოგადოება ბერთაყანა-ნიალის ყორღანების მონაცემების გათვალისწინებით (2), მზის კულტის პატივისმცემელი ჩანს. არსებული მასალების მიხედვით, მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, მიწათმოქმედება ამდენადმე შეზღუდული უნდა ყოფილიყო. ზველის ყორღანებში ყურადღებას იქცევს მოგვიანო იერის კერამიკულ და ბრინჯაოს ნაკეთობათა ერთი მცირე ჯგუფი. აღნიშნული გარემოება ჩვენ მივიჩნევთ შუაბრინჯაოს ძეგლებში გვიანბრინჯაოს ხანის საწარმოო ნიშნების პირველი გამოჩენის ნივთიერ დადასტურებად. ეს გარემოება კი, თავისებურ ლოკალურ სიახლედ მივიჩნევთ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანების კულტურების ურთიერთობის კვლევის სფეროში. ზველის ყორღანული სამარხები, ჩვენ, გვარიდან გამოსულ, ეკონომიურად დაწინაურებულ დიდი და კერძო ოჯახების საქვალეებად წარმოგვიდგენია, რომელშიც მალალ საფეხურზე ასული შრომის დანაწილება. სამარხებში მძლავრი კულტურული ფენები გვევარაუდებინებს იქვე ახლოს ამ ოჯახების საცხოვრებლების არსებობასაც.

ჩვენი ექსპედიციის მიერ ასევე მნიშვნელოვანი ძეგლებია გამოვლენილი ბორჯომის ხეობაში. ისინი შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა და მისი მომდევნო პერიოდების სხვადასხვა სახეობის ორმოსამარხებს წარმოადგენდნენ. მათში უმთავრესად კიდურებმოხრილი თითო მიცვალებულის ნაშთი დასტურდება. მიცვალებულთა დამხრობაში გარკვეული წესი არ შეინიშნება. ნიშან-ღობლივია ქალების დაკრძალვა მარცხენა გვერდზე, მამაკაცებისა კი — მარჯვენაზე. სამარხებში ძირითადად ბრინჯაოსა და თიხის ინვენტარი გვხვდება. აქვეა ძვლის, ნახევრადმეორფასი ქვის, პასტის, მინისა და სხვა სახის სამკაულები. ხელთარსებული მასალის საფუძველზე თვალსაჩინოა სამარხებს შორის არსებული განსხვავებებიც, რომელიც ძირითადად გამოიხატება ინვენტარის რაოდენობრივ და მხატვრულ-ესთეტიკური გაფორმების ხასიათში. აღნიშნუ-



ტაბ. I.

Таба. I.



ტაბ. II.

Таба. II.

ლი ვითარება იმ დროს საზოგადოებაში გარკვეულ საფეხურზე ასული ქონებრივი დიფერენციაციისა და კულტურსახურების აღმნიშვნელ ფაქტორად მივიჩნით. სამარხეული კომპლექსები მოწმობენ იმ პერიოდის (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის მასალა გვაქვს მხედველობაში) მესაქონლეობის, სამელითონეო ხელოსნობის, მეთუნეობის მალაღმავნითარებულ დონეს. მიწათმოქმედება აქაც შეზღუდული ჩანს, მეზობელ და შორეულ კულტურულ წრეებთან კავშირუროთიერთობები კი — დაწინაურებული. ამ მხედველობაში გვაქვს ის მასალები, რომელიც აშკარად მიგვიჩიოთებს გაცხოველებულ კავშირებზე კოლხეთის დაბლობის უძველესი ნამოსახლარების, შიდა ქართლის, თრიალეთის, სომხეთის, ხეთურ და სხვა რეგიონებში ცნობილ თანადროულ კულტურებთან. აღნიშნული პერიოდის მასალებიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდის ხეობის საზოგადოებაში (რელიგიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით) წინა პლანზე ჩანს წამოწეული მზის კულტის პატივისცემა. ხელთარსებული მონაცემების საფუძველზე, უძველესი, ზეელის ყორღანული და ბორჯომის ხეობის ორმოსამარხთა კულტურების სიახლოვე, რომელიც ერთიან, ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ კულტურის ძეგლებად წარმოგვიდგენია. ხეობაში აღნიშნული პერიოდის ყოფის ზოგიერთი თავისებურების საჩვენებლად რამდენიმე სამარხის ინვენტარს შევებებით. კვირაცხოვლის სამაროვნის №№ 75 და 65 ორმოსამარხები ქალის სამარხებს წარმოადგენდნენ. მათი ინვენტარი ძირითადად ბრინჯაოს სამკაულისა და თიხის თითო ჯამისაგან შედგება. ამ კომპლექსებში ყურადღებას იქცევს ბრინჯაოსა და ძვლის მძივ-სამკაულიც (ტაბ.



II). ნივთიერი მასალის საერთო ხასიათის მიხედვით, მათში აშკარად შეიმჩნევა შუაბრინჯაოს ხანის სამელითონეო და სამეთუნეო საწარმოო ტრადიციების თავმოყრა შედარებით მოგვიანო ხანების საწარმოო ტრადიციებთან. ინვენტართან ერთად, ამ მიმართებით, აღნიშნულ კომპლექსებს თავისებური მნიშვნელობა აქვს შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანების კულტურების ურთიერთობის კვლევის საქმეში (ტაბ. II, 1-16, 17-25).

სამარხებში აღმოჩენილი დისკოსებური საყიდუმის მსგავსი სამკაული მხოლოდ ბორჯომის ხეობისთვისაა დამახასიათებელი. მათი აღმოჩენები ყველა შემთხვევაში ქალის სამარხებს უკავშირდება (ისინი გულშეკერდის არეში დასტურდება). მათი მსგავსი საყიდუმის მხატვრული გაფორმების სიმბოლოცა მზის (ნაყოფიერება) კულტის ძეგლებთანაა გაიგივებული (3, გვ. 71). ასევეა გააზრებული № 75 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი საყინძების სემანტიკური მონაცემებიც (4, გვ. 58). აქედან გამომდინარე, აღნიშნული გულსაკიდებიანი სამარხები შეიძლება კულტმსახურებით დასაქმებულ ქალებს მივაკუთვნოთ. ამ ტიპის სამკაული ისტორიული სამეცნაო ტერიტორიაზე ფართოდ ჩანს გავრცელებული (განსაკუთრებით ბორჯომის ხეობაში) და მის დამახასიათებელ ნივთიერ მასალად გვესახება ძვ. წ. XVI-XIV სს-ში. წარმოდგენილი მასალა ექვმიუტანლად მეტყველებს მაღალგანვითარებულ, ესთეტიკური მოთხოვნილებების სამელითონეო, წვრილი ხელოსნობის არსებობაზე. № 65 ორმოსამარხის კომპლექსი არანაკლებ საინტერესოა მასში შემავალი ძელისაგან დამზადებული საბეჭველითაც (ტაბ. II, 18). იგი ჯერჯერობით ერთადერთი უძველესი სახელსაქმო იარაღია, რომელიც თვალსაჩინოს ხდის საფეიქრო საქმეში ქალების უპირატესობას. № 75 სამარხის ასაკი მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, ძვ. წ. XV-XIV სს. მიჯნის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს (ტაბ. II, 1-16). № 65 სამარხი კი, უფრო მოგვიანო ძეგლი უნდა იყოს, კერძოდ, ძვ. წ. XIV ს-სა (ტაბ. II, 17-25).

ძვ. წ. II ათასწლეულის დასავლურ-ქართულ და ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურების ურთიერთობის საკითხების შესწავლისათვის, მნიშვნელოვანია ბორნილელს სამაროვანზე გათხრილი № 52 და № 69 ორმოსამარხების ინვენტარი (ტაბ. III). მათ კომპლექსებში ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს არქაული ნიშნების მატარებელი, თავისებური ფორმის კოლხური ცულები (ტაბ. III, 2-15). მსგავსი კომპლექსები განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. № 69 ორმოსამარხისა და მასში დამოწმებული ინვენტარის ასაკი, შესადარებელი მასალის გათვალისწინებით, ძვ. წ. XV-XIV სს-ის მიჯნის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს, № 52-სა კი — ოდნავ უნდა ჩამორჩებოდეს № 69 სამარხისას. შესაძლოა, იგი იყოს ძვ. წ. XIV ს-ის ძეგლი. ორივე სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ყურადღებას იქცევს მიცვალებულთა დაკრძალვის წესთან დაკავშირებული მსხვილფეხა რქიანი საქონლის თითო თავის ქალის აღმოჩენის ფაქტები. ეს გარემოება, ჩვენი ვარაუდით, თავისებური ურთიერთობის ამსახველი უნდა იყოს შუაბრინჯაოს ხანის შიდა ქართლში ცნობილ მიცვალებულთა დაკრძალვის ერთ-ერთი წესისა, რომელშიც თვალში საცემია სამარხთა აღმოსავლეთ ნაწილში მსხვილფეხა რქიანი საქონლის წყვილი თავის ქალის აღმოჩენა (თრელი გორები, ნატახტარი). კულტურული







Табл. III.

გბ. III.



ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა № 52 სამარხში, ადამიანის ჩონჩხის ზემოდან, კეცრის ქვების საკმაო რაოდენობით აღმოჩენის აღნიშვნა. ეს გარემოება მიცვალბულის კეცრთან დაკრძალვაზე უნდა მიგვიტოთებდეს, რომელიც ასევე კარგადაა ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში. აღნიშნული ცულებიანი კომპლექსებისა და საერთოდ, სამცხეში ცნობილ კოლხურ ცულებთან დაკავშირებული სხვა მასალების ერთად განხილვა, თავისებურ საფუძველს ქმნის პირველყოვლისა, კოლხური ცულების გენეტიკის საკითხების კვლევის სფეროში. იგი ასევე მნიშვნელოვანია ამ ტიპის ცულების საწარმოო-ლოკალური კერების რიგი საკითხების შესწავლაშიც. აქ მხედველობაში გვაქვს ამ ტიპის ცულების წარმოების დინამიკისათვის თვალის მიდევნების შესაძლებლობა, დაწყებული ძვ. წ. XV ს-დან ვიდრე ძვ. წ. VIII-VI სს-მდე (აქ მხედველობაში გვაქვს ხეობაში გამოვლენილი კოლხური ტიპის ბრინჯაოს და რკინის ცულებიანი ცალკეული კომპლექსები და მათ შორის თელოვნის განძი).

ჩვენს მიერ ხეობაში გამოვლენილ ძვ. წ. VIII-VI სს-ის ორმოსამარხებში დადასტურებულ დაკრძალვის წესთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია ინჰუმაციურ სამარხებთან ერთად დამოუკიდებელი ადამიანის კრემაციულად დაკრძალვის წესი. ყველა შემთხვევაში აღნიშნული წესი წარმოდგენილია თიხის სხვადასხვა ზომისა და სახეობის ჭურჭლებში. აქვე ყუ-

საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
ბიბლიოთეკა




Табл. IV.

ტაბ. IV.

რადლებას იჭყევდა მათ თავსახურაგებად გამოყენებული თიხისავე ჯამები და შერჩეული ბრტყელი ქვები. ამ წესით დაკრძალული მიცვალებულები აღნიშნული პერიოდის ამიერკავკასიაში იშვიათია. ბორჯომის ხეობაში, იგი, ჩვენი ვარაუდით, ხეთური სამყაროს გავლენით უნდა აიხსნას. მისი გამოძახილი ჩიტახევის სამაროვანზე დასტურდებოდა ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისა (5) და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში (4 გვ. 12-13). ჩვენი ვარაუდით მიცვალებულის კრემაციულად დაკრძალვის წესი ძვ. წ. VIII-VI სს-ის სამარხებში, რომელიც მასიურადაა წარმოდგენილი ხეობაში, დაკავშირებული უნდა იყოს ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში მცირე აზიაში მომხდარ ძვრებთან, ჩრდილოეთიდან შემოჭრილ კიმერიელების მიერ მესხურფრიგიული ძლიერი სახელმწიფოს განადგურების შემდგომ მოვლენებთან, როდესაც ხეთიზირებული მესხური მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დაიწყო ჩრდილოეთით (საქართველოს სამხრეთ პროვინციებისაკენ) გადაადგილება (6. გვ. 236). ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მოპოვებული მასალის ერთი ნაწილიც იძლევა. აქ მხედველობაში გვაქვს სჯვა მასალასთან ერთად, ერთ-ერთ თიხის ჭურჭელში, მიცვალებულის დამწვარ ძვლებთან ერთად, სარიტუალო ნივთების ჯგუფში შემავალი ბრინჯაოს მამაკაცის ითიფალური ქანდაკება (ტაბ. IV. 1), იგი, ჩვენი ცნობილი მსგავსი ნიმუშების მიხედვით (7) შეიძლება მიჩნე-

ულ იქნას ერთ-ერთ უძველეს ქართული პლასტიკური ხელოვნების ნიმუშად მისი თავსაბურავის მოყვანილობაში აშკარად გამოსჭვივის ხეთურ-ფრიგიული ხელოვნების გავლენა. იგი ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულებების ნიშნულ კურკელში აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება კი, განსახიერება უნდა იყოს სოციალური ბატონობის იდეისა (7. გვ. 52, ტაბ. IV, 2).

ძვ. წ. VIII-VI სს-ის სამარხებში კარგად მოჩანს რკინის იარაღ-სამკაულ-ლის მომრავლება, რომელშიც შეიმჩნევა ადგილობრივი, გვიანბრინჯაოს ხანის საწარმოო ტრადიციების შენარჩუნება და სხვ. აქვე მრავლადაა მეზობელ კულტურებთან დაკავშირებული მასალა. მათში განსაკუთრებული სიმრავლითაა წარმოდგენილი იმ პერიოდის კოლხურ სამყაროსთან დამაკავშირებელი ნაკეთობები (თიხის კურკლის ერთი ნაწილი, რკინის სატევრის პირები, რკინის კოლხური ცულები და სხვ.) ამდენად, აღნიშნული პერიოდის სამარხეული კომპლექსების შემდგომი ძიება საინტერესო პერსპექტივას გვიქმნის.

ადრეანტიკური ხანის ძეგლების კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მასალაა მოპოვებული ბორნიღელესა და წნისის სამაროვნებზე. იქ, ზოგ სამარხში, მიცვალებულის პირის ღრუს ძელებს შორის, აღმოჩენილია ვერცხლის მონეტების მცირე ნომინალები — კოლხური თეთრები — ნახევარდრაქიმები (აქ მხედველობაში გვაქვს ბორნიღელეს სამაროვნის № 3 სამარხისა და წნისის ორი შემთხვევა). მიცვალებულთა ამგვარად დაკრძალვის წესს ბერძნულ კულტურაში უდევს სათავე ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან. არსებული ვითარებიდან გამომდინარე საინტერესოდ დგება საკითხი ბორნიღელეს № 3 სამარხის კომპლექსის დათარიღებისათვის (ტაბ. IV, 3-14). აღსანიშნავია, რომ წნისის სამაროვნაზე დადასტურებული დაკრძალვის ამ წესით წარმოდგენილი სამარხების ასაკი ძვ. წ. IV-III სს. განსაზღვრული (8. გვ. 28-29). ბორნიღელეს № 3 სამარხის ინვენტარის ასაკი წნისისას წინ უნდა უსწრებდეს. ამ თვალსაზრისით ანგარიში უნდა გაეწიოს ბორნიღელეს № 3 სამარხის ინვენტარის ასაკობრივი გავრცელების თავისებურებას. აქ მხედველობაში გვაქვს მათი გამოყენების დასასრული ხანისა და კომპლექსში შემავალი მონეტის ემისიის დასაწყისი პერიოდის თანხედრა, რომელიც საშუალებას იძლევა სამარხის აბსოლუტური თარიღი განისაზღვროს ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნის ახლო ხანებით. თვალში საცემია ბორნიღელეს და წნისის ადრეელნისტური ხანის სამარხებში წარმოდგენილი მხოლოდ ადგილობრივი (კოლხურ-იბერული) წარმომავლობის პროდუქციის არსებობა, რომელიც უნდა მიგვანიშნებდეს იმ პერიოდის სამცხის საზოგადოების საწარმოო ტრადიციების კონსერვატორულ ხასიათზე. ხოლო აღნიშნული დაკრძალვის წესის გამოჩენა სამცხეში (იგი პირველი შემთხვევაა ბორნიღელესა და წნისში) ნაკარნახევი უნდა იყოს ბერძნული კულტურის გავლენით. აქვე საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ბორნიღელესა და წნისის ადრეანტიკური ხანის მასალებისა და „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ამავე პერიოდის სამცხის ქალაქების შესახებ ცნობების შეჯერებით, ბორჯომ-ახალციხის მხარე (თუ მთელი სამცხე არა) გვესახება იმ რეგიონად, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მოქცეული უნდა ყოფილიყო კოლხური სახელმწიფოს ფარგლებში (ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარი — III ს, ტაბ. IV, 3-12).



ხეობაში ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის მიზნით, ასევე ხაყოფაღ-  
 ლებო მასალა მოპოვებული გუჯარეთის ხეობაში სოფ. კომოთესუბანში. მის  
 რების სერის ბოლოს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სადახვევრო სა-  
 მუშაოების დროს ექსპედიციის მიერ შესწავლილი ორმოსამარხის ინვენტარი,  
 რომელშიც პართიანული სპარსეთის მეფის ოროდ I ვერცხლის მონეტაც  
 იქცევს ყურადღებას (ტაბ. IV, 12-15). აღნიშნული კომპლექსი იმითაა მნიშ-  
 ვნელოვანი, რომ იგი თავისებური ამსახველი ჩანს იმ პოლიტიკურ-ეკონომი-  
 კური ძვრებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველი და ახალი წელთაღრიცხ-  
 ვის მიჯნის ახლო ხანების იბერია-პართიანული სპარსეთის ურთიერთობაში.

ასევე, საინტერესოდ გვესახება ჭავჭავეთის სხვადასხვა სოფელში შემთხ-  
 ვევით გამოვლენილი ძეგლებს მნიშვნელობა, რომელიც ინახება ახალქალაქის  
 მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ტაბ. 1, 6-13).

სოფ. ბულაშენისა და ოკამის წითელ გორაზე ცნობილი, შავად გაპრია-  
 ლებული ჭურჭელი შუა ბრინჯაოს ხანისაა, რომელთა აღმოჩენის ვითარებას  
 გარკვეული სიახლეები შეაქვს ჭავჭავეთის ზეგანზე აღნიშნული პერიოდის ძეგ-  
 ლების გავრცელების ტოპოგრაფიაში (ტაბ. 1, 6, 7, 11). ჭავჭავეთისა და არე-  
 ზის ველის წინა ურარტული ხანის კულტურების ურთიერთობის საკითხების  
 კვლევისათვის, საყურადღებოა სოფ. აბულში („პაჯიას ყანაში“) მოპოვებული  
 ჭურჭლები (ტაბ. 1, 10, 13). ამავე ადგილიდანაა ცნობილი ძვ. წ. I ათასწლე-  
 ულის ცენტრალურ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ბრინჯაოს  
 ფრთხილად შევებული ყუნწიანი ისრის პირი (ტაბ. 1, 1, 9). სოფ. კარწახთან, ხო-  
 ზაფინის ტბის პირას აღმოჩენილია ამავე პერიოდში, ასევე ცენტრალურ ამი-  
 ერკავკასიაში კარგად ცნობილი წყალზე მცურავი ფრინველის გამოსახულები-  
 ანი დაზიანებული ჭურჭელი. ჭავჭავეთის ადრეანტიკური ხანის ძეგლების თვალ-  
 საზრისით აღსანიშნავია სოფ. მოდეგამში ასევე შემთხვევით აღმოჩენილი რამ-  
 დენიმე ჭურჭელი (ტაბ. 1, 12).

როგორც ჩანს, მესხეთ-ჭავჭავეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მო-  
 პოვებული ახალი მასალები ფართო ინფორმაციის შემცველია და შესაბამისად  
 ამისა, კიდევ უფრო საშუაებს და პერსპექტიულს ხდის, არქეოლოგიური სამუშაო-  
 ების გაფართოებას აღნიშნულ რეგიონში.

---

1. „სახსოვარი“ მილონი წლისა, გაზეთი კომუნისტი, 16 (19458) 19 იანვარი, 1986.

2. ო. ჭავჭავიძე, ი. კვიციანი, ვ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჭავჭავეთის არქეოლო-  
 გიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, თბ., 1982.

3. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სემანტიკა, თბ., 1986.

4. ო. ლამბაშიძე, რველის სამაროვანი, ძეგლის მეგობარი № 39, თბ., 1975.

5. ო. ლამბაშიძე, ახალი მასალები სამცხე-ჯავახეთიდან წინაზოია-ეგვიპტურ სამყაროსთან  
 ურთიერთობის საკითხისათვის. ძეგლის მეგობარი, № 63, 1983.

6. Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959.

7. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944.

8. ვ. კვიციანიძე, წინისხვევის ადრეელბინისტური ხანის სამაროვანი, ძეგლის მეგობარი,  
 № 63, თბ., 1983.

### ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა 1983-1985 წლებში

ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია შეიქმნა 1963 წელს სოციალისტურ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით. მისი მიზანია გამოავლინოს, დანგრევა-განადგურებას გადაარჩინოს, დააფიქსიროს და შესწავლოს ყველა ის მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელიც თავს იჩენს ამა თუ იმ ობიექტის მშენებლობის დროს. თავისი საველე სამუშაოების წარმოება ექსპედიციას ძირითადად უზღებოდა თეთრიწყაროს რაიონში, მდ. ალგეთის შუა წელზე და მისი სახელწოდებაც აქედან მოდის. ბოლო დროს ახალმშენებლობათა მასშტაბების გაზრდასთან ერთად გაიზარდა ექსპედიციის ასპარეზიც და საველე სამუშაოებმა მოიცვა მარნეულის და გარდაბნის რაიონებიც. თავდაპირველად, როგორც უკვე ცნობილია, ექსპედიციამ შესწავლა დასახლება—მადანის ტერიტორია, სადაც 1963-1964 წლებში შენდებოდა ლითოგრაფიული ქვის დამამუშავებელი ქარხანა და გამოავლინა გვიანბრინჯაოს ხანის მადნისჭალის სამაროვანი. 1973-83 წლებში არქეოლოგიური გათხრებუ მიმდინარეობდა ალგეთის წყალსაცავის მშენებლობის ტერიტორიაზე, სადაც შესწავლილ იქნა რამდენიმე ათეული ძეგლი, მოყოლებული ადრებრინჯაოს ხანიდან — გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ამ ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭალის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, გვიანბრინჯაოს ხანის და წინარე ანტიკური ხანის სამაროვნები, პანტიანის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი (ყველა სოფ. ხოპისის მახლობლად), რომლებიც უკვე წყლით დაიფარა, კობალას შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნები (დასახლება მადანთან), ხოპისის ქედის ადრეშუასაუკუნეების ნასოფლარის კომპლექსი სამაროვნივრთ და სხვა.

1983 წლიდან ექსპედიციის საველე სამუშაოები უკავშირდება ტბისიკუმისის სარწყავი სისტემის მშენებლობასაც. თბილისი თეთრიწყაროს გზატკეცილის მარცხენა მხარეს, სოფ. შავსაყდარას გადასახვევთან ადგილ პაპიგორაზე მაგისტრალური სარწყავი არხის გაყვანის დროს დაზიანდა წინა და ადრეელინისტური ხანის სამაროვანი, რომლის შესწავლას ექსპედიციამ მოანდომა 2 (1983-1984) წელი. პაპიგორის სამაროვანზე გაითხარა 79 სამარბი, რომელთაგან 55 ქვისსამარბია, 3 ქვევრსამარბი, დანარჩენი კი — ორმოსამარბი. ქვისსამარბები ტიპურია ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში ქვემო ქართლში გავრცელებულ ანალოგიური სამარბებისა. ისინი ზომით პატარებია (დაახლოებით 80X50X50 — 140X100X60 სმ) და ნაგებია ქვიშაქვის ნათალი ბრტყელი ფილებით. ორმოსამარბებიც, რომლებიც გადახურული იყო ერთი ან რამდენიმე ჭვით, მცირე ზომისაა, გვეგმაში წრიული ან ოვალური მოყვანილობის. სამაროვანზე გავრცელებულ სამივე ტიპის სამარბებში დადასტურებული დაკრძალვის წესი მეტნაკლებად მსგავსია ქვემო ქართლის სხვა თახადროულ ანალოგიური ძეგლებისა. სამარბები, ერთი გამოჩაყლისის გარდა (№ 44 ქვისსამარბში 2 მიცვალებულია დაფიქსირებული), ინდივიდუალ-




ლურია. მიცვალებულს მარხავდნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელ-  
 ფეხმოკეცილად. რიგ შემთხვევაში მიცვალებულთა ჩონჩხის ძვლებს  
 გება ისეთია, თითქოს ისინი დამჯდარი დაუცრქალავთ, თუმცა ამ  
 თებით მტკიცება გაძნელებულია იმით, რომ ასეთ სამარხებში ჩონჩხი ძალიან  
 ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. სამაროვანზე ზოგან დამოწმებულია ალა-  
 პის წესიც. დამხრობაში არ შეინიშნება რაიმე კანონზომიერება, თითქოს ნე-  
 ბისმიერია.

ყველა მონაცემებით, პაპიგორის სამაროვანზე იმარხებოდა ერთი დასახ-  
 ლების, ალბათ, საკმაოდ ძლიერი სოფლის მოსახლეობა, რომელიც წარმოად-  
 გენდა იმდროინდელი საზოგადოების რიგით წევრებს, თუმცა მათ შორის  
 ერთგვარი ქონებრივი და სოციალური სხვაობაც შეინიშნება. არის უფრო  
 მდიდრული და ღარიბული სამარხები, განსხვავებული სამარხის ტიპები, რაც  
 აშკარად ზემოხსენებული ფაქტორებით უნდა იყოს გამოწვეული. მიცვალე-  
 ბულებს მეტწილად აყოლებდნენ თიხის 1-4 ჭურჭელს, ბრინჯაოსა და რკი-  
 ნის სამაჯურებს, საკინძებს, ბრინჯაოს ძეწკვებს, ნახევრად ძვირფასი ქვების  
 ნაირ-ნაირ მძივებს და სხვ. იარაღი წარმოდგენილია რკინის შუბის და ხელშუ-  
 ბის პირებით და სხვადასხვა ფორმის მოხრილი დანებით. კერამიკულ ნაწარ-  
 მში კარბობს ღია ფერის-მოწითალო, მოყვითალო-მოჩაღისფრო, აგურისფერი  
 ჭურჭელი. შედარებით მცირე რაოდენობითაა მონაცრისფრო-მოშავო ფე-  
 რის კერამიკა. გვხვდება მოხატული კერამიკაც.

ინვენტარის ხასიათით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს № 49 ქვევრ-  
 სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნატიფი ხე-  
 ლოვნებით დამზადებული სხვადასხვა საშაქაულები — საყურეები, ბეჭდე-  
 ბი, სამაჯურები, გულსაკიდები, საკინძები, ილარი და სხვა, რომელთაგან ზო-  
 გი ცხენის ან ფრინველის სკულპტურული გამოსახულებითაა დავიკრგვინებუ-  
 ლი, სხვადასხვა მასალისაგან შესანიშნავად დამზადებული სხვადასხვა ფორ-  
 მის მძივები. მიცვალებულის პირთან იდო მონეტის მსგავსი ნივთი, მზის  
 გამოსახულებით შემკული, რაც გარკვეულად მიგვანიშნებს ანტიკურ სამ-  
 ყაროში ფართოდ გავრცელებულ წეს-ჩვეულებაზე.

ქვევრსამარხში დაკრძალული პირი სოციალურად და ქონებრივად აშკა-  
 რად უფრო დაწინაურებული ჩანს, ვიდრე იმავე სამაროვანზე დაკრძალულა  
 სხვა პიროვნებები. პაპიგორის სამაროვანი ზოგადად ადრეანტიკურ-ადრეელი-  
 ნისტურ ხანას განეკუთვნება. აქ მოპოვებული მასალა (სხვადასხვა ფორმის  
 თიხის ჭურჭელი, მოხატული კერამიკა, ბრინჯაოს გველისთავეებით შემკული  
 და ზურგშედრეკლი, რკინის ზურგდაბურთული სამაჯურები, პრიზმულ და  
 ცილინდრულთაფიანი საკინძები, მთლიანად № 49 ქვევრსამარხის კომპლექსი  
 და სხვა) საშუალებას იძლევა თარიღის უფრო დაკონკრეტებისა და პაპიგო-  
 რის სამაროვნის ასაკის განსაზღვრისა ძვ. წ. IV საუკუნით და ძვ. წ. III  
 საუკუნის პირველი ნახევრით.

პაპიგორის სამაროვანზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების პარალე-  
 ლურად ექსპედიცია რეგულარულად აწარმოებდა დახვერვით სამუშაოებს,  
 რის შედეგადაც სოფ. შავსაყდარას მიდამოებში მიკვლეულ იქნა ორი სა-  
 მაროვანი. მათ პირობითად ეუწოდებთ შავსაყდარა I და შავსაყდარა II სამა-  
 როვნებს.



შესაყდარა II სამაროვანზე მოპოვებული  
ნეფები.

Предметы из погребения Шап-  
сакдара II.

შესაყდარა I მდებარეობს სოფ. შესაყდარას სამხრეთით, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულ I ტერასაზე. 1985-86 წლებში აქ გაითხარა ადრეანტიკური ხანის 97 სამარბი, ამასთანავე ნაწილობრივ გამოვლინდა აქვე მდებარე ადრებრინჯაოს ხანის ნაშთსახლარი. სამაროვანზე გათხრილი სამარბები პაპიგორულის მსგავსად მცირე ზომისაა, იმ განსხვავებით, რომ აქ სამარბთა ასაგებად უპირატესად ბაზალტისა და რიყის ქვებია გამოყენებული. აქაც უმრავლესობას ქვაყუთები წარმოადგენს (79 ცალი). საყმაოდაა ლოდებით და ბრტყელი ფილებით დახურული ორმოსამარბებიც (17 ც). ერთ შემთხვევაში დადასტურდა ქვევრსამარბში დაკრძალვა (№ 92). სამარბთა აღნაგობით, დაკრძალვის წესებით და მოპოვებული მასალის მიხედვით შესაყდარა I სამაროვანი სიახლოვეს პოულობს პაპიგორის სამაროვანთან. მსგავსია ჭურჭლები, სამკაული და სხვ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესაყდარა — I სამაროვანი გარკვეულწილად განსხვავდება პაპიგორისაგან იარაღის შედარებით მრავალფეროვნებით (აქ 15 სამარბში მოპოვებულ იქნა რკინის შუბისა და ხელშუბის პირები, ცული, რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები, მაშინ როდესაც პაპიგორაზე 8 სამარბია და ისიც მხოლოდ რკინის შუბის და ხელშუბის პირები). მიუხედავად იმისა, რომ შესაყდარა I და პაპიგორის სამაროვნებს ბევრი საერთო შემხვედრი წერტილი აქვს, მაინც შესაყდარა I სამაროვანი რამდენადმე არქაულად გამოიყურება და ამის გამო მას ძვ. წ. IV საუკუნით ვათარილებთ.

განსაკუთრებით საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს შესაყდარა II სა-



მაროვანი, რომელიც მდებარეობს შავსაყდარა — I სამაროვნიდან დასავლეთით 700-მდე მეტრ მანძილზე. ჭრჭერობით გათხრილი რამდენიმე სამაროვანიდან ორი (№ 6 და № 12) აშკარად არისტოკრატთა კუთვნილებდა, ორივე სამარბი მოზრდილია (210X160 სმ და 190X130 სმ), შესანიშნავად ნაგები ქვიშაქვის კარგად გათლილი დიდი ზომის ფილებისაგან. ორივე სამარბთან აღმოჩნდა თან გაყოლილი ცხენების ჩონჩხები. სამწუხაროდ, ორივე სამარბი გაძარცვული გამოდგა: მათი ინვენტარის თავდაპირველ სიმდიდრესა და მრავალრიცხოვნობაზე მხოლოდ დარჩენილი ნაშთების მიხედვითა შეგვიძლია ვიმსჯელოთ. № 6 სამარბის ინვენტარის გაძარცვას გადარჩენილი მცირე ნაწილიც კი გვიჩვენებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკმაოდ მალალი რანგის დიდგვაროვანთან, რომელიც შესაძლოა გარკვეული ერთეულის ხელისუფალიც კი იყო. ყოველ შემთხვევაში ინვენტარის ნაშთი (ოქროს მძივები, ოქროს ბოლოებიანი სარდიონის (?) მძივსაყიდი, ელექტრუკის ბაგისსაფარი, ვერცხლის სხვადასხვა საშკაული. ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, მახვილის, შუბის-პირების ნაშთები, დანები და სხვა.), დაკრძალვის წესი (დაკრძალვა ხის სარეცელზე, რომელსაც ორ ათეულზე მეტი რკინის ლურსმანი ახლდა) და თან-გაყოლილი ორი შეკაზმული ცხენი, ამ ვარაუდისათვის ჰყარ საფუძველს გვაძლევს.

პირწმინდად გაძარცვული აღმოჩნდა იმგვარადვე ნაგები № 12 სამარბი, სადაც მხოლოდ ვერცხლის ჭურჭლისა და მოხატული დოქის ფრაგმენტები შემორჩა. დანარჩენი სამარბები ნაყლებ მდიდრულია. ყურადღებას იქცევს № 2 ბავშვის ქვისსამარბი, სადაც ჩადგმული იყო მოზრდილი „სამადლოს“ ტიპის ორყურა, მილიანი, წითელი სამკუთხედებით მოხატული თალარის მსგავსი ჭურჭელი (სურ. 1). რომელშიაც დაუმარბაეთ 1-2 წლის ბავშვი. საინტერესო მასალაა მოპოვებული სხვა სამარბებშიც. მაგალითად № 3 სამარბში აღმოჩნდა შავად გაპრიალებული გვერდებჩაღართული დოქი (სურ. 2), № 7 სამარბში — ორი ერთმანეთს შეტყუებული ქვერისებური ჭურჭელი (სურ. 3) ყურებზე ვერძის თავების გამოსახულებებით და სხვა. საინტერესოა კულტურულ ფენაში მოპოვებული მასალაც, საიდანაც გამოირჩევა რკინის ლაგმების და საყბეურების ფრაგმენტები, მინის მშვენიერი სანელსაცხებლე (სურ. 4), „სამადლოს“ ტიპის მოზრდილ ჭურჭელთა მოხატული ფრაგმენტები და სხვა. ყოველივე ეს მიუთითებს ამ მიდამოებში სამაროვნის თანადროული ნამოსახლარის არსებობაზე. ეს გარემოება ექსპედიციის დაინტერესებას ამ ძეგლისადმი ერთი-ორად ზრდის.

შავსაყდარა II-ის სამაროვანი თავისი ასაკით შავსაყდარა I-ზე რამდენადმე ახალგაზრდად გამოიყურება და შეიძლება წინასწარ დათარიღდეს ძვ. წ. III—II სს.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარდა ზემოხსენებული ძეგლებისა ექსპედიციამ გათხარა აღრეშუასაუკუნეების სამაროვანი პაპიგორის ფერდზე, შუასაუკუნეების ნამოსახლარი სოფ. ენაგეთის სიახლოვეს ადგილ „ნაკალოვრებში“, (აქვე ითხრება ჭრჭერობით გაურკვეველი დანიშნულების ქვყარი-ლით მოგებული ძეგლი), გვიანი შუასაუკუნეების სამაროვანი სოფ. შავსაყდარაში. ტარდება დაზვერვითი ხასიათის გათხრები, რის შედეგადაც უკვე მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძეგლი, რომელთა შესწავლა განსაზღვრულია უახლოეს მომავალში.





**არქეოლოგიური გათხრები წითელწყაროს რაიონში**

1985 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ექსპედიციას (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი კ. ფიცხელაური) გამოეყო შირაქის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დაეკისრა კახეთის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის მეცნიერული შესწავლა.


სამუშაოები დაიწყო „დალის მთის“ წყალსაცავის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქ. წითელწყაროდან დაახ. 40-50 კმ. მანძილზე, W მიმართულებით მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე. ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 10-15 წლის წინათ ჩატარებულმა სადაზვერვო სამუშაოებმა ცხადყო, რომ ამ რეგიონში გათხრების ჩატარება აუცილებელია. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი „დალის მთის“ ტერიტორიაში გამოიწვია, ერთი მხრივ იმის გამო, რომ აქაურთა ძეგლები უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, აქ საქირო იყო ახალმშენებლობებთან დაკავშირებული მთელი რიგი სამუშაოების შესრულება. ექსპედიციამ მიაკვლია როგორც გორასამარხებს, ასევე გორა ნაშოსახლარებს, სადაც შეიკრიბა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები.

„დალის მთის“ წყალსაცავის მშენებლობის ტერიტორიაზე 1985 წელს გათხრალ იქნა სულ ოთხი ქვაყრილიანი გორასამარხი (b 10-17 მ, h — 1 მ), № 1, № 2, და № 3 გორასამარხები გამარცხლი აღმოჩნდა. საინტერესო ნივთები იქნა მოპოვებული № 4 გორასამარხში. მიწის ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე მდებარეობდა სამარხი ორმო (3,20X2,20 მ) დამბრობილი SO—NW. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა სამარხი ორმოს NW კედლის გასწვრივ, მარჯვენა გვერდზე თავით SW.


სამარხში აღმოჩნდა რვა თიხის ჭურჭელი, ცენტრალურ ნაწილში და მის NW ნაწილში კი ბრინჯაოს ექვსი ბალთისმავარი ნივთი (აბჯრის ფირფიტები?) ვაშკოლი ნახვრეტით, რომლის ზედაპირს წრიულად შემოუყვება რელიეფური წერტილები. ამავე ნაწილშია ბრინჯაოს ყუნწმოტეხილი სატევარი. ნიცვალებულის გულმკერდის წინ მიმობნეულია ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებული მძივები, სარდიონის სამი ცალი მძივი და ოქროს მასიური სასაფეთქლე ხვია (ტაბ. 1).

ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, ოქროს სასაფეთქლე ხვია და მძივები, სარდიონის ბრტყელი და კასრისებური მძივები (ტაბ. 1), თითქმის ყველა ზუსტ პარალელს პოულობს თრიალეთის ყორღანულ მასალებში, ეს კი მათ თარიღს ზოგადად ბრინჯაოს ხანას უკავშირებს.

„დალის მთის“ ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შემდეგ ექსპედიციამ გადაინაცვლა „ზილიჩის“ ტაფობზე, სადაც მიმდინარეობს „წყალთამეურნეობის“ სამუშაოები — მდ. ალაზნიდან ამოქაჩულ წყალს უშვებენ სარწყავ არხებში, რომლებიც გათვალისწინებულია „ზილიჩის“ ტაფობის მოსარწყავად. 1981 წელს ამ ადგილას არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ერთი გორასამარხი № 1.



ტაბ. I—II.




Таба. I—II.

გორასამარხი № 2 მდებარეობს ზილიჩის ტაფობზე, სოფ. ზემო ქედის მევენახეობის ბრიგადის ვენახებში (b—22 მ, h — 1 მ). მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ქვებით სავსე დასაყრძალავეი კამერა (4,50X3 მ). სამარხი ორმო დამბრობილი იყო W—O. დასაყრძალავეი კამერის ყრილის გასუფთავების დროს, ყრილის W ნაწილში აღმოჩნდა ობსიდიანის ერთი ქუსლ-ამოღარული ისრისპირი. ამავე ნაწილში სამარხი ორმოს პირიდან 16 სმ. სიღრმეზე აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალა. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე W მიმართულებით.

სამარხი ორმოს NW ნაწილში აღმოჩნდა ორი თიხის ჭურჭელი (№ 1 და № 2), რომლებიც ძლიერ იყო დაზიანებული (ჩალეწილი ყრილის ქვებისაგან). აქედან ერთი წარმოადგენს მსხვილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებულ შავად გამოშვარ თიხის ჭურჭელს. ხოლო მეორე, მოვარდისფროდ გამოშვარ ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებულს. სამარხის NO მხარეს იყო თიხის ჭურჭელი (№ 3), დამზადებული შავად გამოშვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ძლიერ დაზიანებული, სამარხის M ნაწილში გამოვლენდა ქვის ჭურჭელი, b — 9 სმ, h — 3 სმ, მის გვერდით ქვის ლახტისთავი, W ნაწილში, თავის ქალის ახლოს ნაპოვნია ობსიდიანის, ორი ქუსლ-ამოღარული ისრისპირი და კაეის, სამი ყუნწიანი ისრისპირი, ამავე ნაწილში გამოვლენილა, აგრეთვე ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული სამი ცალი კედლებგახსნილი მილაკი, ასეთივე ნივთები აღმოჩნდა სამარხის NO ნაწილში, აქვე იყო ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი (ტაბ. II).

მიცვალებულის გარშემო, მის წინ და უკან, სამარხის O ნაწილში აღმოჩნ-



ტაბ. III.

Таба. III.

და ბრინჯაოს თხელი მრგვალი ფირფიტისაგან დამზადებული ბალთის მსგავსი ნივთები (ბრინჯაოს აბჯრის ფირფიტები?)  $b = 0,7-0,9$  მ; შუაში ერთი და ნაპირებზე რამოდენიმე ნახვრეტით, ზოგიერთ მათგანს, ზედაპირზე სიმეტრიულად შემოუყვება კოპების ორი რიგი (ტაბ. II).

დასაკრძალავი კამერის N ნაწილში, მიცვალეზულის ქვედა კიდურების ძვლებთან ეყარა წვრილფეხა საქონლის ძვლები, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები ნაპოვნია სამარხის S ნაწილში, NO კუთხეში — ცხერის მთელი თავის ქალა.

მიცვალეზულის გულმკერდის არეში აღმოჩნდა ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული მძივები, ოქროს მძივების შემაერთებლები (3 ცალი) (ტაბ. II), პასტის იოტები (ტაბ. II), თავის ქალის არეში ოქროს ორი მასიური სასაფეთქლე ხეია (ტაბ. II).

აღნიშნული სამარხი აღმოჩნდა ორმოს პირიდან 18-20 სმ. სიღრმეზე, სამარხის სრული პრეპარაციის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ მიცვალეზულის ქვეშ იატაკი კი არ იყო, არამედ დიდი რაოდენობით ჩაყრილ-ჩალაგებული ქვები.

სამარხი ორმოს პირიდან 75 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა № 2 ქვედა სამარხი. მიცვალეზული დაკრძალული ყოფილა მარცხენა გვერდზე თავით W მიმართულებით, ძლიერ მოხრილი კიდურებით, სამარხის N მხარეს მიცვალეზულის წინ გამოვლენილ იქნა წვრილფეხა საქონლის ძვლები, ამავე ნაწილში ქვის ლაბტის თავი, ნაპოვნია ტიპური ბედენური ქურჭლის მსგავსი ხუთი თიხის ქურჭელი (ტაბ. III).

ამგვარად, ზედა ფენის სამარხი ადევს ქვედა სამარხს. ზედა სამარხში მოპოვებული ოქროს მასიური სასაფეთქლე ხეიები, ბრინჯაოს მცირე ზომის სატევეარი, კაყის ისრისპირი, თიხის ქურჭელი შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული სამარხი ზოგადად, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასაწყისი საუკუნეებით დათარიღდეს.

ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, აღნიშნოთ, რომ მთელი ეს მნიშვნელოვანი საუბუაოები ტარდებოდა უანგარო ხელშეწყობითა და დახმარებით, რისთვისაც გვინდა გულითადი მადლობა მოვახსენოთ მშენებლობის ხელმძღვანელებს ამხ. ი. ხოსროშვილს, გ. თაბორიძეს და გ. ხოსროშვილს.

<sup>1</sup> № 1 გორასამარხში მოპოვებული მასალა გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.


 არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე  
 (1983-1986 წწ.).

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი პროფ. თ. მიქელაძე) ინტენსიურ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ახორციელებს კოლხეთის დაბლობზე. ამ რეგიონის მიმართ ვლენსაკუთრებული ყურადღების გამახვილება განპირობებულია, ერთი მხრივ, აქ არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ძეგლების დიდი სამეცნიერო ღირებულებით, მეორე მხრივ კი — კოლხეთის დაბლობი სწორედ ის რეგიონია, სადაც ფართო მასშტაბის ნათესაძიებო სამუშაოებს აწარმოებს ტრესტი „საქნავთი“ და სამელიორაციო სამუშაოებს ტრესტი „კოლხეთმშენი“. ორივე ტრესტის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რასაც ხშირ შემთხვევაში თან სდევს არქეოლოგიური ძეგლების დაზიანება და განადგურება (ზოგჯერ მათი გამოვლენაც). აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენენ კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ფინანსურ წყაროს.

ბოლო წლებში ექსპედიციის საქმიანობა ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობს — 1. არქეოლოგიური დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე, 2. სტაციონალური გათხრები აბაშის რაიონში მდებარე ე. წ. „ნამარნუს“ ხელოვნურ ბორცვთა სისტემაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე და 3. სტაციონალური გათხრები ზუგდიდისა და ხობის რაიონებში, ნამოსახლარებზე და გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის სამაროვნებზე.<sup>1</sup>

სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ათეული არქეოლოგიური ძეგლი გამოვლენილი და ფიქსირებული ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის მიერ კოლხეთის დაბლობზე, ყურადღებას იქცევს ოცდაათზე მეტი ხელოვნური ბორცვი ე. წ. „ღიხა-გუძუბა“ ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში და მის მიდამოებში. „ღიხა-გუძუბათა“ უმრავლესობა სხვადასხვა პერიოდის კულტურულ ფენებს შეიცავს. ზოგიერთ მათგანზე კი, კერძოდ, ერგეტის ცენტრალურ უბანში მამულიების „ღიხა-გუძუბაზე“, იზორიების „ღიხა-გუძუბაზე“ და ცვანეში მდებარე „ღიხა-გუძუბაზე“ დადასტურებულია კულტურული ფენების არსებობა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ვიდრე ძვ. წ. IV-III საუკუნეებამდე. ანალოგიური სურათი შეინიშნება ზუგდიდის რაიონის სოფ. ორულში წურწუმეიძისა და პერტიების „ღიხა-გუძუბაზეც“.

წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მრავალი ნამოსახლარი იქნა დადასტურებული სოფ. ერგეტასა და მის მიდამოებში. ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კულტურული ფენები დადასტურებულ იქნა მდ. ჭურჩის ორივე სანაპიროზე. ზღვის სანაპიროდან 1-1,5 კმ დაცილებით. ამავე ეპოქისა და გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები მდინარე ხობის წყლისა და ციას შესართავთანაც იქნა ფიქსირებული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ადრეანტიკური ხანის ფენების გამოვლენა პალიასტომის ტბის მიდამოებში, კერძოდ, ნაღართუს არხის მარცხენა სანა-



პირობე და მდ. სუფსის ორივე ნაპირას ზღვიდან 1 კმ დაშორებით. აქ დან-  
 იერების დროს. სადაც ახლა კოლხეთში მდინარეების ლიმონარიუმში და სხვა  
 სადრეწაო არხიდან ამონაყარ გრუნტში ადრეანტიკური და ელინისტური  
 ხანის კერამიკასთან ერთად მოპოვებულ იქნა სინოპური კრამიტის ფრაგ-  
 მენტები. ანალოგიური კრამიტის ფრაგმენტი მოპოვებულ იქნა სოფ. ერგე-  
 ტაში მდ. მუხურჯინჯის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ადრეანტიკური და  
 ელინისტური ხანის კულტურული ფენები დარღვეული იყო კოლხეთში  
 ნის მიერ, საწრეტი არხის გაყვანის დროს. ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის  
 ათეულამდე უცნობი ძეგლი იქნა მიკვლეული ლანჩხუთში და ლანჩხუთის  
 რაიონის სოფლების ჩიხათის, ლესას, ნიგოეთისა და ქეიანის მიდამოებშიც.  
 კოლხეთის ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ძეგლების ჯგუ-  
 ფი, რომლებიც „ნამარნუს“ სახელითაა ცნობილი. „ნამარნუს“ მთებარეობს  
 აბაშის რაიონის სოფ. კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, ანჯე-  
 რის მასივზე, მდ. რაიონის მარცხენა სანაპიროზე, მდ. ფიჩორის ზემო წელზე  
 და უშუალოდ მის მარჯვენა სანაპიროზე.

ძეგლი უპირველეს ყოვლისა თავისი მასშტაბით იქცევა ყურადღებას. ის  
 შედგება დაცემულ ვაკეზე ამოხიდული ოთხი ხელოვნური ბორცვისაგან  
 რომელთა ფართობი 12 ჰექტარამდე აღწევს. აღნიშნულ ბორცვთაგან  
 გაბატონებული მდგომარეობა უკავია ცენტრალურ ბორცვს. მისი ფარ-  
 თობი 2 ჰექტარს უდრის, ხოლო სიმაღლე 5 მეტრამდე აღწევს. მას გარ-  
 შემო შემოსდევს 50 მ. სიგანის დაჭობებული არხი. არქეოლოგიური სა-  
 მუშაოები სწორედ ცენტრალურ ბორცვზე წარიმართა.

დღეისათვის ნამარნუს ცენტრალურ ბორცვზე ფიქსირებულია ოთხი  
 კულტურული ფენა. ყველაზე ზედა — პირველი კულტურული ფენა ახ. წ.  
 V საუკუნის ეკლესიის ნანგრევებითაა წარმოდგენილი, ესაა ერთნავიანი ეკლე-  
 სია დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთით 15 გრადუსი გადახრით  
 ჩრდილოეთისაკენ. ეკლესიას აღმოსავლეთით მიშენებული აქვს ნახევარწრი-  
 ული აბსიდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში პილასტრებია დატა-  
 ნილი, ხოლო დასავლეთით, საიდანაც კარგად იკითხება ეკლესიაში შესასვლელი,  
 ბორტალის ნაშთებია შემორჩენილი.

მეორე კულტურული ფენა, რომელშიაც უშუალოდაა ჩაქრილი ეკლესი-  
 ის საძირკველი ელინისტური ხანისაა. ის თითქმის პირიპირადაა გან-  
 ფენილი ბორცვზე და ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. კერამიკის  
 უმრავლესობა ადგილობრივია ნამზადი, მაგრამ აქვია საკმაოდ დიდი ჯგუფი  
 იმპორტული კერამიკისა. აქ მოპოვებული სინოპური ამფორები აღნიშნულ  
 ფენას ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრითა და ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებს.

მესამე კულტურული ფენა ნაწილობრივ (უშუალოდ) მეორე ფენის ქვეშაა  
 მოქცეული, ნაწილობრივ კი მეორე და მესამე ფენებს შორის სტრატოლოგიური  
 შრეც შეინიშნება. მსგავსად მეორე კულტურული ფენისა არქეოლოგიური  
 მასალა აქაც ადგილობრივი და იმპორტული კერამიკითაა წარმოდგენილი. აქ  
 აღმოჩენილი ჭიქისებურძირიანი ამფორები და ატიკური შავლაკიანი კერამიკა  
 მესამე ფენის თარიღს ზოგადად ძვ. წ. V საუკუნით განსაზღვრავს.

მეოთხე კულტურული ფენა მესამისაგან 50 სანტიმეტრამდე სისქის კულ-  
 ტურული შრითაა გამოყოფილი. ის ძირითადად ლევად გამოშვარი კანელუ-



რებით შემკული კერამიკითაა წარმოდგენილი და ზოგადად ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

საყდელი თხრილები იქნა დადებული „ნამარნუს“ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბორცვებზე. ჩრდილოეთის ბორცვზე დადებულმა საყდელმა თხრილმა დაადასტურა კულტურული ფენა, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ კერამიკას შეიცავს, სამხრეთის ბორცვზე დადებულმა თხრილმა კი ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასალის შემცველი მძლავრი კულტურული ფენა გამოავლინა.

მეტად საინტერესო ძეგლი აღმოჩნდა 1986 წელს „ნამარნუს“ ჩრდილოეთით 1 კმ დაცილებით. კოლხეთშიწინის მიერ სადრენაჟო არხის გაყვანის დროს დაზიანდა წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები, რომლებიც აქ მოპოვებულ ტივლების ფრაგმენტებისა და ბრინჯაოს ნაღვენთების მიხედვით მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. აქვე აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის სამარხებიც.

მეორე მრავალფენიანი ძეგლი, რომელზედაც კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს საველე კვლევა-ძიებას, მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში მამულიების უბანში და მამულიების „გუბების“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ძეგლი წარმოადგენს 5 მ სიმაღლისა და 70 მ დიამეტრის მქონე ხელოვნურ ბორცვს, რომელსაც 10-15 მ სიფართის დაქოხებული არხი შემოუყვება.

ბორცვის სტრატეგრაფიის განსაზღვრის მიზნით დადებულმა საყდელმა თხრილმა ხუთი კულტურული ფენა დაადასტურა. პირველი ორი ფენა (ზემოდან ქვემოთ) ადრეანტიკური ხანისაა. მესამე ფენის ზუსტი ქრონოლოგიური განსაზღვრა არქეოლოგიური მასალის სიმცირისა და ფრაგმენტულობის გამო ძნელდება, მაგრამ აქ მოპოვებული, სპეციფიკური, დაწახნაგებულ პირის გვირგვინიანი დერგის ნატეხების მიხედვით მისი თარიღი შესაძლოა, სავარაუდოდ, წინარეანტიკური ხანით განისაზღვროს. მეოთხე ფენა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ მასალას შეიცავს, ხოლო მეხუთე ფენაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სინქრონული ჩანს შუაბრინჯაოს ხანის კოლხურ ძეგლებზე მოპოვებული მასალისა. მისი თარიღი ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით განისაზღვრება. ამავე ფენაში აღმოჩნდა ჯარგვალური ტიპის ნაგებობათა ნაშთიც.

დღეისათვის, შედარებით სრულყოფილად ადრეანტიკური ხანის ფენებია შესწავლილი. გამოვლენილია ბათქაშით შეღესილი დიდი ზომის ნაგებობათა ნანგრევები, რომლებსაც, როგორც ჩანს, ბორცვის ცენტრალური ნაწილს უჭირავს. აქ მოპოვებული დიდიძალი კერამიკა, როგორც ადგილობრივ ნამზადი, ასევე იმპორტული, ზუსტ ანალოგიებს პოულობს ძვ. წ. I საუკუნით დათარიღებულ ძეგლებიდან მომდინარე მასალასთან. ასეთ თარიღს მხარს უჭერს აქ მოპოვებული ორი ცალი ეგვიპტური „სკარაბეიცი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ მათი აღმოჩენის პირველი შემთხვევაა კოლხეთში.

1. აღნიშნული სამაროვნების შესახებ. იხ. ნ. ჩუბინიშვილის წერილი „ძეგლის მეგობარი“ № 3, 1987 წ.

2. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული ხელოვნური ბორცვების (დინაგუბებების, რ. პაპუაშვილი) შესახებ იხ. თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რაიონის ქვემო წილზე, თბ., 1978, გვ. 38.

### ქინვალის ნაქალაქარი და სამაროვანი

არაგვის ხეობაში მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას რომელიც დაკავშირებული იყო ქინვალის პიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობასთან, დიდი ყურადღება დაეთმო ქინვალის ნაქალაქარის და სამაროვნის შესწავლას.<sup>1</sup>

ისტორიულ წერილობით წყაროებში ქალაქი ქინვანი მოხსენებულია როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი, რომლის დაწინაურება განაპირობა მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ.<sup>2</sup>

ქინვალის ნაქალაქარი და სამაროვანი, რომელიც განლაგებული იყო მთიულეთის და ფშავის არაგვის შესართავთან, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. რამიშვილი) 1971-1985 წწ.

ნაქალაქარის შენობები ტერასულადაა განლაგებული და მიჯრითაა ერთმანეთთან ისე, რომ მათ შორის გასასვლელი ერთეულ შემთხვევათა გარდა არ გამოიყოფა.<sup>3</sup> სათავეები ნაგებია მოსწორებულ მიწაზე უსაძირკვლოდ. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კლდის ნატეხი ქვა, კირხსნარი და ტალახი. იატაკი მიწატყვნილია და ზოგჯერ მოფილაქნებული. საცხოვრებელი ნაგებობები ძირითადად ერთგვაროვანია და გაბატონებულია ნახევრად მიწური სახლები ბანური გადახურვით. მათ შორისაა ერთ და ორდენადამიანი ქართული დარბაზები გვირგვინიანი გადახურვით, რომლებიც გამოირჩევა ფართობის სიდიდით (№ 22 სათავესი — 78 მ<sup>2</sup>, № 83-84 მ<sup>2</sup>). გარდა საცხოვრებელი სათავეებისა გამოვლინდა დამხმარე სათავეები ე. წ. „საცივო“ პროდუქტის შესანახად.

სათავესთა ცენტრში მოწყობილია ოთხკუთხა ან მოპრგვალბული კერები. ადგილზეა თიხით ამოყვანილი ერთი ან რამდენიმე თორწე. გვხვდება კასრის ფორმის სამეურნეო ორმოები ქვითა და დულაბით ამოშენებული, ქვევრები, კედელზე მიშენებული ტახტები, კედლებში დატანებული ნიშები.

ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში, მთის ძირობაზე, გაითხარა ეკლესია ჭვარპატიოსანი, სათავეები და სამარხები. ეკლესია დარბაზულია, ნაღისებური აბსიდით და კანკლით, რომელიც შირიმის ქვითაა აგებული. აღმოსავლეთ კედელზე მიბჯენილი იყო მონოლითური ქვისგან გამოკვეთილი საკურთხეველი. ეკლესია განვითარებული შუასაუკუნეებისაა, ხოლო სამხრეთიდან გვიანდელი მიწაშენი აქვს. ეკლესიის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გათხრილი ოთხი სათავესი ანალოგიურია ნაქალაქარის ოთახებისა.

ქინვალის ნაქალაქარის ჩრდილოეთით, მისგან დაბალი კლდოვანი ქედით გამოყოფილი იყო დასახლება იდენტური ნაქალაქარისა.<sup>4</sup> გაითხარა 26 სათავესი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი კომპლექსი ერთდენ-



ვინეალის ნაქალაქარის გარეუბანი, ტერასულად განლაგებული სათავსები.  
რ. ჩაქოვანის ფოტო.

Городище Жинвали, пригород, терасообразно расположенные помещения.  
Фото Р. Чиковани.

დაბოძიანი დარბაზით, მასზე მიდგმული ორსართულიანი ნაგებობის და მარნის ნაშთით. ეს კომპლექსი აგებული იყო ორი ადრინდელი საცხოვრებლის ნაშთზე.

გარეუბანზე გამოვლენილი ზოგიერთი სათავსის კედლებზე მიშენებული იყო წარმართული საკურთხევლები, რომელთა თიხით მოლესილ პოდიუმებზე და იატაკზე აღმოჩნდა უამრავი შეწირული ნივთები: მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, ქვის სალესავები, ბრინჯაოს ჭრაქები, ცხვრის კოჭები და სხვა. საკურთხველიანი სათავსები კერამიკით და მონეტებით XIII ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება.

ნაქალაქარს სამხრეთიდან ზღუდავდა გაღვანი, რომელიც რელიეფს მიუყვებოდა მდ. არაგვის ნაპირიდან აღმოსავლეთისაკენ თამარის ციხის ძირიდან. ზღუდის შუა ნაწილში ჩაშენებული იყო კოშკი, რომლის პირველ სართულში მოწყობილი იყო ქალაქში შესასვლელი კარიბჭე. ნაქალაქარის ჩრდილოეთით, ადგილ ნაზვრევზე გაითხარა ზღუდის ნაშთი.

თამარის ციხე, მის მოპირდაპირე კლდის მასივზე განლაგებული წმ. გიორგის ციხე, არაგვის მარჯვენა ნაპირზე აღმართული ზურგიანი კოშკი და ზერთვისის კოშკი ქმნიდა ვინეანის და არაგვის ხეობის თავდაცვით სისტემას.

ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით ზღუდის გარეთ გაითხარა საქარავნო სახლის ნაშთი, რომლის ფართობი 800 მ<sup>2</sup> შეადგენდა.

ვინეალის ნაქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლით, ლითონის, მინის, ძვლის, ქვი-






ვინვალის ნაქალაქარი, საოჯახო № 22  
ხედიდან. ვ. ასტახოვის ფოტო.

Городище Жинвали. Помещение № 22  
с колоннами. Фото В. Астахова.

ვინვალის ნაქალაქარის სამაროვნის მეორე ეკლესიის აღდგენა დუშეთის არქეოლოგიური ბაზის ეზოში. ბ. ჯორბენაძის ფოტო.


Восстановление второй церкви Живанальского могильника в Душети во дворе археологической базы. Фото В. Джорбенадзе.



სა და ხის ნაწარმით. მოპოვებულია ცალკეული მონეტები და განძები.

ვათხრების შედეგები საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ძველ ვინვალელთა მეურნეობაზე და ხელოსნობაზე.

ხაროები და მარცვლეულის ნაშთები უტყუარი საბუთია მემინდვრეობის განვითარებისა. საწნახლეების, ქვევრების, სასხლავი დაწების და საღვინე




ტინვალის ნაკლაქარი. მრავალფერად მოტიკული ჯამები. ვ. ასტახოვის ფოტო.

Городище Жинвали. Полхромные чаши. Фото В. Астахова.

სამარხეული ინვენტარი ტინვალის ნაკლაქარის სამარხიდან.  
კ. არაბულის ნახატი.

Погребальный инвентарь из Жинвальского могильника Накалакари.  
Рис. К. Арабули.





ქუჩების აღმოჩენა მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე. ხოლო ოსტეოლოგიური მასალა, ცხენების ნალები, სადღვებლების ტიპი მეტყველებს მესაქონლეობის გარკვეულ როლზე.

გამოვლენილია მოკიქული და მოუკიქავი თიხის ქუჩების გამოსაწვავი ვერტიკალური ტიპის ქუჩები. დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის, ბრინჯაოს და მინის წილები, სპილენძის ფირფიტების ჩამონაკრები, რკინის და ძელის ნახევარფაბრიკატები, რაც მოწმობს ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე.

გარდა ამისა ქალაქი ენეანი წარმოადგენდა საქართველოსათვის მნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტს ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ მიმავალ საქარავნო გზაზე, აკავშირებდა მთასა და ბარს ერთმანეთთან.

ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა ქალაქ ენეანის სამაროვანი.<sup>5</sup> ვათხრილია 681 სამარხი, რომელთა შორის აღნაგობით და საშენი მასალის მიხედვით გამოიყოფა ოთხი ტიპი: ორმოსამარხები, ქვისსამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები და აკლდამები. ორ-სამ სართულად განლაგებული სამარხები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. აღმოჩენილია თიხის სასმისები, მინის ქუჩების ფრაგმენტები და სამაჭურები, რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამკაულები, მონეტები და სხვა.

ენეალის ნაქალაქარის სამაროვანზე გაითხარა სამი ეკლესია დაკავშირებული დაკრძალვის წესჩვეულების შესრულებასთან.

ენეალის ნაქალაქარი და სამაროვანი ანალოგიური მასალებით და მონეტებით თარიღდება XI-XIV სს.

ამჟამად ენეალის ნაქალაქარის და სამაროვნის ტერიტორია დაფარულია წყალსაცავით. მაგრამ ნაქალაქარის და სამაროვნის ზოგიერთი კომპლექსი (მეთუნის საცხოვრებელი, წარმართული სათავსი, მესამე ეკლესია № 204 სამარხთან ერთად, კამაროვანი აკლდამა, № 26 სამარხი, მეორე ეკლესია № 25 და № 54 სამარხებთან ერთად) დაშლილია, გადმოტანილია და მიმდინარეობს მათი აღდგენა დუშეთის არქეოლოგიური ბაზის ეზოში მდებარე ლიკისქვეშა რეგიონალურ მუზეუმში. აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო.

1. რ. რამიშვილი, ნაქალაქარი ენეანი. — კრ., ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. IV, თბ., 1982, გვ. 66-75.
2. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 55, 251, 302; ქართლის ცხოვრება. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 222, 243-244, 532-535.
3. მ. შარგველაშვილი, ენეალის ნაქალაქარი. — კრ.: ენეალის ექსპედიცია. თბ., 1980 (1981), გვ. 29-42.
4. ვ. რჩეულიშვილი, ენეალის ნაქალაქარის გარეუბნის მოკიქული ჯამები. — კრ. არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1985, გვ. 124-129;
5. ბ. ჭობენაძე, ენეალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს. — კრ.: ენეალი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. I. თბ., 1983, გვ. 134-166.



**გრემისხევის სამარხიანი**

(ფაქტი, რომელიც არ უნდა გამოვრდეს)

მდ. ნარეკვავის ზემო წელზე, სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც მთავარწყალშენი ახორციელებდა, მივლინებული იყო ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნარეკვავის ექსპედიცია.<sup>9</sup> ექსპედიციას ევალუბოდა მშენებლობის ზოლში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლა.

სოფ. გრემისხევის მახლობლად, სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის შენებისას, გაშიშვლდა ორმოსამარხები. საგანგებოდ გაფრთხილებულმა ბულდოზერისტმა ზაურ ჭიკაიძემ შეაჩერა მუშაობა და სასწრაფოდ აღმოჩენების შესახებ ამცნო არქეოლოგებს, შემდეგ დაცვის მიზნით სამარხებიდან ამოკრიფა ინვენტარი, უკლებლივ გადმოგვცა, მაგრამ მათი მეცნიერული ღირებულება საგრძნობლად შეამცირა.

სოფ. გრემისხევი დღეშეთის რაიონის ერთ-ერთი ძირძველი სოფელია. იგი ოდითგანვე არაგვის საერისთაოს შემადგენლობაში შედიოდა, ესაზღვრებოდა ქსნის საერისთაოს და არაერთგზის მოიხსენიებოდა ქართულ საისტორიო წყაროებში. ვახუშტი ბაგრატიონი მას მთის სოფლების რიგს მიაკუთვნებდა. სადაც ვაზი და ხილი არ ხარობდა“ არამედ ხეობასა ამას ბენის ჭილურტამდე ეწოდება გრემის ქვეი. არა არს გრემის ქვეს ვენახნი და ხილნი, სხვთა ყოვლითა მოსავლიანი. დღემდე შემორჩა სოფელს გვარების მიხედვით დანაწილებული უბნები, კიდევ დგას ხეობის დამცველი კოშკი.

გრემისხევიში არაერთგზის ქონია ადგილი შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს.<sup>1</sup> ახლადაღმოჩენილი სამაროვანი მდებარეობდა მდ. ნარეკვავის მარჯვენა დამრეც ფერდობზე, სოფ. გრემისხევიდან სამხრეთით ნახევარ კმ მანძილზე. ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებნი „ნაშლღლევს“ უწოდებენ. როგორც ჩანს, ფერდობი მეწყერიანი ყოფილა, ადგილი კქონია მიწის ჩამოშლას, აქედან წარმოდგა სახელწოდება „ნაშლღლევი“. მთელი ფერდობი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის კვალს ატარებდა. თხემზე ჩანდა ნამოსახლარი, უფრო ზემოთ, ადგილ „მწელიანიდან“ მომდინარეობდა აღმოსავლურ-კავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცული, იქვე შენიშნული ყოფილა ბრინჯაოს ნივთების შემცველი სამარხი. ფერდობზე ნაშლღლევის მომიჯნავე ტერიტორიას ნაქორჩებს უწოდებენ. აქ გადმოცემით ადრე ტყე ყოფილა, რომელიც გაუნადგურებიათ, ხოლო შემდეგ ძირიანად ამოუჩოკნიათ, ალბათ სათიბებად ან სახნავად გამოუყენებიათ: ნაქორჩების ტერიტორიაზე შეინიშნა წაგრძელებული ქვყრილები ტყის მესაკუთრეთა ან მინდვრის მეპატრონეთა მიჯნები. ერთ-ერთი ქვყრილი შემოწმდა. იქ აღმოჩნდა ობსიდიანის დამუშავებული ნატეხები, სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შესაძლოა ზემოდან ჩამოტანილი.

„ნაშლღლევში“ აღმოჩენილი სამარხები 1 მ-დე სიღრმეზე ყვითელ თიხნარში იყო ჩაჭრილი. ყველა გრუნტული, მრგვალი ან ოვალური მოყვანი-



გრემისხევის წყალსაცავის მშენებლობის  
საერთო ხედი.

Общий вид строительства Гремис-  
хевского водопровода.

ლობის ორმოთი. სამარხები უმეტესად დეფორმირებული იყო მეწყერისა თუ ბულდოზერის მუშაობის შედეგად.

სამარხები ერთის გამოკლებით ინდივიდუალური იყო. მიცვალებული ეს-ვენა ხელფეხმოკეცილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თითოეულს თან ახლდა 2-5-მდე თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის კოჭბები, ლანგრები, ქოთნები, სამარილეები. კერამიკა უმთავრესად შავი ფერის იყო, ძუნწად ორ-ნამენტირებული, სუსტად გამომწვარი (ამოღებისთანავე იშლებოდა).

მათაყაიის სამარხებში იდო რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ბრინჯაოს და ძელის სამკუთხა მოყვანილობის. ბრტყელი ქუსლამოღარული ისრის-პირები.

დიდი რაოდენობით შეგროვდა სამკაულები: პირველ რიგში სერდოლიკის ხუთწახნაგა ან მრგვალი მძივები, პასტისა და ტალკის იოტები, დომინოსე-ბური მძივები, ბრინჯაოს კონუსის ფორმის კილტები, ერთნახევრიანი ბრინჯაოს თავბოლოშებრტყელელებული ხეივები, აღსანიშნავია სახლის გამოსახულებით შემკული საკინძები (წყვილი), ორიგინალურად თავჩახვეული შეწყვილებულ-რკალიანი სამაჯური, ნემსი, ილარი ჯაჭვითურთ.

„ნაშლელევის“ სამაროვანი ერთფენიანია, ამიტომ სავარაუდოა, რომ ერთდროულია. შუბისპირები ყველგან რკინის აღმოჩნდა, ისრისპირები და სამკაულები ბრინჯაოსი.

გრემისხევის სამარხებში აღმოჩენილი ნივთები პარალელურს პოულობს ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიურ ძეგლთა შორის შიდა ქართლში, თრიალეთში, კახეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში.



გრემისხევი, სამარხი № 2.

Гремисхеви, погребение № 2.

რკინის შუბისპირის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ბრინჯაო უკვე დაკარგა პირველობა და რკინამ გამოდევნა იგი, მაგრამ ბრინჯაო მაინც გამოიყენება, თუმც ნაკლებად, ძირითადად სამკაულებისათვის.

„ნამზღლევის“ სამაროვანზე აღმოჩენილი გრძელმასრიანი შუბისპირის მსგავსი შუბისპირი ცნობილია წინწყაროდან, თაჭ-ქილისადან ძვ. წ. IX-VIII საუკუნის სამარხებიდან.<sup>2</sup>

ამ აღმოჩენილი ისრისპირები, დამახასიათებელი თრიალეთის და შიდა ქართლის ადრეული რკინის ხანის ძეგლებისათვის, ქართლში ძვ. წ. VIII ს.-ის დასაწყისის შემდეგ წყვეტენ არსებობას.<sup>3</sup>

საყურადღებოა სამარხებში აღმოჩენილი სამკაულები ორმაგ შეწყვილებულრკალიანი სამაჯურები და დომინოსფორმის მძივები. მათი ანალოგიები გვხვდება სამთავროს სამაროვანზე, კახეთში (მელაანში<sup>4</sup>), თრიალეთში, სომხეთში (ართეში), ძვ. წ. XI-VII სს. კომპლექსებში. ტ. ხაჩატურიანი სომხურ მასალებზე დაყრდნობით მათ ძვ. წ. X-IX სს. ათარიღებს.<sup>5</sup>

გრემისხევიში აღმოჩენილი სახლის გამოსახულებიანი საკინძები კოლხურ-ყოზანური კულტურის დამახასიათებელ ნივთს მოგვაგონებს. თუმც მისი პარალელები გვხვდება შიდა ქართლში, სამთავროს კულტურის გავრცელების რაიონში.<sup>6</sup> შეწყვილებულრკალიანი სამაჯურები ცნობილია სათოვლენაბაღრებიდან და თვით სამთავროდან.<sup>7</sup>

ახასიათებს რა ამ პერიოდის კერამიკას ქვემო ქართლში ბ. კუფტინი წერს, ვასაოცარია, რომ მთელ რიგ სამარხებში ნორმალურ კეცის მქონე კერამიკასთან ერთად ვხვდებით ჭურჭელს, რომელსაც ახასიათებს სუსტი გამოწევა, უხეში ფორმები, ოფსიდიანის მინარეგებიანი მსხვილმარცვლოვანი თი-



ბა. ასეთ ჭურჭელთან ხშირად გვხვდება დომინოსებური მძივები. ბ. კუფტინა ამას ხსნის რაღაც დიფერენციაციით კერამიკის წარმოებაში, რომელიც ოსტატთა ჯგუფი, რომელიც მაღალი ხარისხის კერამიკას ამზადებს უკლებლად კიდევ შინაური პრიმიტიული წარმოება. არ არის გამორიცხული, რომ სუსტად გამოწვევარი კერამიკა სპეციალურად სამარხებისათვის მზადდებოდა.\*

ამგვარად, გრემისხევის მახლობლად აღმოჩენილი იყო ახალი სამაროვანი, ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ტიპური ინვენტარით, თარიღდებოდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით და მისი შესწავლა ბევრს ახალს გვპირდებოდა.

პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რაც ძეგლის გადარჩენასთან იყო დაკავშირებული, მომავალში გადაწყვეტილი იყო ფერდობის დაწვრილებითი არქეოლოგიური შესწავლა. მაგრამ შემდეგ სამუშაო სეზონში სამაროვნის ტერიტორია განადგურებული დაგვიხვდა. მიუხედავად მუშების თხოვნისა, ინჟინერმა ვ. ნათელაშვილმა სამუშაოებისათვის საჭირო მიწის ალება ამ ფერდობიდან გადაწყვიტა, თუმც ამის საჭიროება არ იყო და არქეოლოგიურად ბოლომდე შეუსწავლელი ფართობი გაანადგურა.

ასეთი უსულგულო დამოკიდებულება არქეოლოგიური ძეგლების მიმართ უკვე იშვიათია, მაგრამ მაინც ხდება. ეს არ უნდა გამოვრდეს.

\* ექსპედიციის შემადგენლობა: ლ. წითლანაძე (ხელმძღვანელი), უმცროსი მეცნ. თანამშ. მ. მენაბდე, მ. კილერაძე, ლაბორანტი ნ. შირცხელავა და მხატვარ-არქიტექტორი ლ. მეტრეველი.

1. აღმოჩენილი მასალა დაცულია დეშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
2. В. Б. А. Купф и н. Археологические раскопки в Триалетии, Тб., 1941, стр. 56-58, ф. 305.
3. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე ტ. XIX ბ და XX ბ, 1977, ტაბ. I.
4. კ. ფიჭელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს., 1973, გვ. 12).
5. Т. С. Хачатрян, Древняя культура Ширака, Ер. 1975, стр. 241.
6. შ. ირემაშვილი, პირველად არქეოლოგიაში, ძეგლის მეგობარი, № 39, 1975, გვ. 64-66.
7. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-V სს.) საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XXII ბ. 1961, ტაბ. XII (I).

**ნიჩბისისხევის არქეოლოგიური ძეგლები  
(შემთხვევითი მონაოვრები)**

მდ. ნიჩბურა სათავეს იღებს დიდიგორის მთიდან და ერთვის მდ. მტკვარს სამხრეთიდან. სიმცირის მიუხედავად, ხეობა მეტად მდიდარია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა უმრავლესობა შემთხვევით აღმოჩენებთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა წლებში მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა არაერთი ნამოსახლარი თუ სამაროვანი, რომლებიც განეკუთვნება ენეოლითის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკურ და ფეოდალურ ხანას.

ხეობაში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამაჭურები ჯერ კიდევ 1914 წ. ჩაბარდა საქ. სახ. მუზეუმს (კოლ. 18, 32, 27, 89, 161—162). გველის თავის სტილი-ზებულგამოსახულებიანი სამაჭურები, ვფიქრობთ, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

1939 წ. ნიჩბისის მიდამოებში გამოვლინდა მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა: ბრინჯაოს იტალიკური სურები (2 ც), შინის (2 ც) და ვერცხლის (2 ც) რგოლები, ვერცხლის აბზინდა არწივის თავის გამოხატულებით, ავგუსტინის, დენარები (8 ც) და გოტარხეს დრაქმა, ო. ლორთქიფანიძე იტალიკურ სურებს ახ. წ. I ს. მეორე ნახევრით ათარილებს (1 გვ. 77).

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებით აღინიშნა სამოციანი წლები. სოფ. ახალი ნიჩბისის განაპირას, 1957 წ. მიწის სამუშაოებისას, დაინგრა ოქროს ნივთების შემცველი გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები. მასალის ერთი ნაწილი ინახება ხელოვნების მუზეუმში, მეორე ჯგუფი ნივთებისა, მცხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1959 წ. სოფ. სასხორში, სახლის სამირკელის თხრისას დანგრეულა სამარხები. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ერთ-ერთ სამარხში, ადამიანის ჩონჩხის ძვლებთან და თიხის ჭურჭელთან ერთად ყოფილა ცხენის ჩონჩხი. აღმოჩენილი ნივთები დაკარგულა.

1961 წ. სოფ. ზემო ნიჩბისის განაპირას, გზის გაფართოებისას დაინგრა ფეოდალური ხანის ქვაყუთები.

1962 წ. ნასოფლარ ზეუბანში აღმოჩნდა მონეტების განძი დაახლოებით 1300 ც. მონეტები განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს და უმეტესი მათგანი თამარის სახელითაა მოჭრილი. 1986 წ. სოფ. შუა ნიჩბისში, ციციშვილების სასახლის ტერიტორიაზე ნაპოვნი იქნა XIII ს. სპილენძის მონეტა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი 1983 წ. მდ. მტკვრისა და ნიჩბურას შესართავთან, ადგილ „ბორნისთავზე“, ნიჩბურას მარჯვენა ნაპირზე, მშენებლებმა დაახიანეს მრავალფენიანი კომპლექსური ძეგლი. ეს ტერიტორია საბალ-ბოსტნე ნაკვეთებისათვის გამოუყვიათ „აგრომშენის“ (ყოფ. სოფლმშენის) თანამშრომლებისათვის. ქვაბულების კრილებში დადასტურებული ნამოსახლარებისა და სამარხთა ნაშთების მიხედვით არქეოლოგიური ძეგლი 7 ჰა ფართობზე ვრცელდება.

მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების უმრავ-





ტაბ. I.

Таба. I.

ლესობა დაიკარგა. სამარხების დიდი ნაწილი მუშებმა „გამოასუფთავეს“. მასალის მცირე კოლექცია, ბრინჯაოს ნივთები — საწივე რგოლი (4 ც); ლაბტისთავი, ბრტყელი ცული, ბუნიკი, საკიდი (4 ც), ზარაკი, აგრეთვე სარდიონის მძივი (56 ც), პასტის (1 ც) და თიხის ქოთანის ჩაბარდა საქ. სახ. მუზეუმს.

ნივთების მეორე ჯგუფი: სასმისი (2 ც); ლანგარი; ხელადა (4 ც); კოჭობი (2 ც); სამარილე დორა. და ბრინჯაოს ნივთები; ფოთლისებური სატევრისპირა; სადგისი; ილარი; შუბისპირი და ხელშუბისპირი; მავთულის ორი ნატეხი. გადაეცა მცხეთის მუღმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას.

თიხის ჭურჭლის უმრავლესობა ლეგაფრადა გამოშვარი, გვხვდება აგურისფრად და ნაცრისფრად გამოშვარი ცალებიც. უმრავლესი მათგანის კეცი ერთფეროვანია, ზოგიერთისა კი ფხვიერია და ორფეროვანი. ზედაპირი მოგლუვებულია, გვხვდება მცირე ზედაპირიანი ცალებიც. შემკულია ჩალარული და რელიეფური ზოლებით, ტალღური და წნევით დატანილი ნაპრალეები ხაზებით, გეომეტრიული ორნამენტით და სხვ. მათი უმრავლესობა მთელია, ნატეხებში ჭარბობს პირმოყრილი ჭურჭელი. თიხის ჭურჭლის ერთი ნაწილი არქაულ იერს ატარებს და ძვ. წ. II ათასწ. II ნახევრის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი: დორა (სურ 4.); სასმისი; ლანგარი და სხვ. მეორე ჯგუფი



ჭურჭლებსა მოგვიანო ხანისა და ძვ. წ. I ათასწ. პირველი საუკუნეებითა-  
რილდება; ხელაღები (სურ 1—3,5), ქოთანი, კოკობი და სხვ.

- 1984 წ. დეკემბერსა და იანვარში, ხოლო 1985 წ. საფხულში არქეოლოგიური  
არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ძეგლზე ჩაატარა საეგვიპტო არქეოლოგიური  
ვათხრები. ვათხრებით დადასტურდა შემდეგი სტრატოგრაფია (ქვემოთაჲ ზე-  
მოთ): I ფენა — ენეოლითური ხანის (ძვ. წ. V—IV ათასწლ.) ნამოსახლარი;  
II — ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ძვ. წ. III ათასწლ.);  
III — გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის სამაროვანი;  
IV — გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი;

ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ნაშთი დადასტურდა უშუალოდ მტკვრის  
ნაპირთან. გვიანბრინჯაო-ადრერკინის და გვიანანტიკური ხანის ნამოსახ-  
ლარები ვრცელდება ამ კომპლექსური ძეგლის დასავლეთით, ნიჩბურას შარჯ-  
ვენა ნაპირზეც (2 გვ. 24).

ვათხარა 19 სამარხი, აქედან 17 წვრილქვაყრილიანი ორმოსამარხია  
გვიანბრინჯაოს ხანისა (ძვ. წ. XIV—XII სს.) ხოლო ორი ქვაყრილიანი ორ-  
მოსამარხი გვიანანტიკური (აბ. წ. III ს.) ხანით თარიღდება. სამარხთა უმეტე-  
სობა ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრის პირის შემცველი კომპლექსების-  
თანადროულია, ხოლო სამარხების მცირე ჯგუფი შედარებით ადრეულია. ამ  
სამარხებში გვხვდება განსხვავებული ფორმისა და კეცის (ღრუქუსლიანი თა-  
სები, მელილღური ჭურჭელი, შალაყელიანი ლილვაკისებური ბაკოიანი დო-  
რები თუ ქილები) თიხის ჭურჭელი. როგორც განათხარი, აგრეთვე შემთხვე-  
ვით მოპოვებული მასალის მიხედვით, დასტურდება, რომ ნიჩბისისხევის გვი-  
ანბრინჯაო — ადრერკინის ხანის სამაროვანი დიდი ხნის მანძილზე (ძვ. წ.  
XIV—VII სს.) ფუნქციონირებდა.

შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს  
ბრინჯაოს ლახტისთავი (სურ. 8) მსხლისებური ფორმის, ხუთი ნახევარსფე-  
რული კოპით, რომელიც შემყულია ბურთულების სარტყლებით. მსგავსი  
ლახტისთავები აღმოჩენილია: სამთავროს; ბეშთაშენის, თლის, ბორნილელის  
(მესხეთ-ჯავახეთი), სტეფანავანის, მაკარაშენის, ლჭაშენის, სევანის, ალავერდის  
და ართიკის სამაროვნებიდან. უმეტესობა ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრის პი-  
რებთანაა აღმოჩენილი. აღ. კალანდამე სამთავროს 26-ე ორმოსამარხში აღმოჩე-  
ნილ ლახტისთავს ძვ. წ. XIII ს. ათარიღებს (3. გვ. 84) თლის, ართიკისა და  
ბორნილელის სამაროვნებზე დადასტურებულ ლახტისთავებს, მათი გამთხრე-  
ლები ძვ. წ. XIV—XIII სს. კუთვნილებად თვლიან (4. გვ. 31. 5. გვ. 161 —  
163. 6) ბეშთაშენის მე-13 და სამთავროს 26-ე ორმოსამარხების ასაკს, რომ-  
ლებშიც ასევე აღმოჩნდა ხუთკოპიანი ლახტისთავები, რ. აბრამიშვილი ძვ. წ.  
XIV—XIII ს. ს. მიწის ახლო ხანებით განსაზღვრავს, ხოლო ბეშთაშენის მე-  
20 სამარხში დადასტურებულ ლახტისთავს მათზე ცოტა მოგვიანო ხანით,  
ძვ. წ. XIII ს. და XII ს. პირველი ნახევრით ათარიღებს (7. გვ. 317—320).

ა. მარტროსიანი ლჭაშენის ლახტისთავს ძვ. წ. II ათასწ. მესამე თუ მე-  
ოთხე ეტაპის კუთვნილად თვლის, ხოლო მაკარაშენის მე-2 სამარხში აღმოჩე-  
ნილ მსგავს ლახტისთავს ძვ. წ. IX—VIII სს. კომპლექტებისათვის თვლის  
დამახასიათებლად (8. გვ. 204—205 სურ. 79). ტ. ხაჩატრიანი სტეფანავანში



აღმოჩენილ ლახტისთავს, მარტიროსიანის მსგავსად ახალგაზრდაეებს და მის ასაკს აგრეთვე IX—VIII სს. განსაზღვრავს (9 გვ. 317).

რ. აბრამიშვილი არ იზიარებს მარტიროსიანისა და ხაჩატრიანის თარიღებს და მაკარაშენის და სტეფანავანის ლახტისთავებს ბეშთაშენის მე-13 ორმოსამარხის სინქრონულად მიიჩნევს (7. გვ. 317). მაკარაშენის თარიღის დაძველებას მხარს უჭერს აგრეთვე კ. ფიცხელაურიც (2. გვ. 158—159).

როგორც აქ მოხმობილი პარალელური მასალებიდან ჩანს ცენტრალურ აკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ზუთოკოპან ლახტისთავებს ავტორთა უმრავლესობა ძვ. XIV—XII სს. პირველი ნახევრის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში აქცევს. ლახტისთავების თარიღს სხვა თანმხლებ ინვენტართან ერთად სიძველისაკენ ეწევა მაკარაშენის მე-2 სამარხში აღმოჩენილი პირმოყრილი ქვაბქოთან, რომელიც სოლური და შტამპით ნატიფი, ერთიმეორესთან გადაბმული სპირალური ორნამენტითაა შემკული. ეს ორნამენტი კ. ფიცხელაურის მიერ ახლადშემუშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც იგი ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIII ს. პირველი ნახევრით ათარიღებს (12. გვ. 158—159).

